# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№31 (10034) 2026 წლის 16 მარტი, ორშაბათი




ირაკლი ყიფიანი

# შეწყვიტეთ
## ქართველთა მორალური განიარაღების ვერაგული
# მცდელობა!



**ღია წერილი ეუთოს მუდმივ საბჭოს, საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით — ახალგაზრდობას!**

საერთაშორისო დაკვირვება თავისი კლასიკური გაგებით უჩვეულო მოვლენას ან საფრთხეს სრულებითაც არ წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიო წესრიგში სახელმწიფოები ლოგიკურად ექცევიან შეფასებისა და კრიტიკის ველში ურთიერთდამოკიდებულების უპრეცედენტო მასშტაბების გამო.

მსგავსი მოცემულობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მართლმსაჯულების მოწყობისა თუ საარჩევნო გარემოს სიღრმისეული შესწავლის დროს. თავისთავად მსგავს ვითარებაში პრობლემური არაფერი მოიძებნება. პირიქით, საერთაშორისო სამართალსა და მრავალმხრივ დიპლომატიას რეალური ფასი ზუსტად იმ შემთხვევაში ედება, როდესაც ისინი ძალისმიერი ბატონობისა და დიქტატის ნაცვლად დაფუძნებულია გამჭვირვალე წესების, უნივერსალური პრინციპებისა და ორმხრივი პასუხისმგებლობის ენაზე.

თუმცა პოლიტიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკულ დიპლომატიაში არსებობს უხილავი და ამავდროულად უკიდურესად მნიშვნელოვანი გამყოფი ხაზი. ხსენებული ზღვრის მორღვევის შემდეგ შეფასება კარგავს თავის კანონიერებას და უხეშ ჩარევად გარდაიქმნება. კრიტიკა იცლება ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრეტენზიისგან და შიშველი პოლიტიკური ზეწოლის ფორმას იღებს.

დაკვირვების მექანიზმი კი იქცევა დამორჩილების იარაღად, რომლის მიზანიც სუვერენული სახელმწიფოს განვითარებაზე თვალის მიდევნებას სრულიად სცილდება და სამართლებრივი წყობის, ღირებულებითი სისტემისა და ეროვნული თვითმყოფადობის გარედან ძალადობრივად თავსმოხვევას ემსახურება.

იხ. 4 გვ.



რომის პაპი:

## ძალადობა მშვიდობას ვერასდროს მოიტანს!

რომის **პაპი ლეო XIV** ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

**„ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანებისა და კეთილი ნების ყველა ქალისა და მამაკაცის სახელით: შეწყვიტეთ ცეცხლი! დიალოგის გზები ხელახლა გაიხსნას!ძალადობა ვერასდროს მოიტანს სამართლიანობას, სტაბილურობასა და მშვიდობას, რომელსაც ხალხი ელოდება. ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და მრავალი სხვა იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი სახლები“.**

ლეო XIV ასევე აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში ადამიანები, ორი კვირაა, სასტიკ ძალადობას განიცდიან.



„მზე მისგან საწუნარია“ 6

ანზორ თოთაძე:

## უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ

თეიმურაზ ჯანელიძე:

## პასიურობა თვით- 3 მკვლელობის ტოლფასია



„დემოგრაფიული ორმო“



შარლ დე გოლი:

## სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის! 8

## „გაფულფულებული“ ჩინოვნიკები



რომეო მიქაუტაძის ნადავლი — ოქროს ზოდები, ძვირფასი საათები, მონეტები, უძრავი ქონება... 11

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# ზღაპრული „ამბასადორის კუნძული“ ბათუმში

**დღეს ჩვენ საფუძველს ვუყრით „ამბასადორის კუნძულის“ პირველ, უმსხვილეს ნაგებობას, რომელიც თვისებრივად ახალ სტანდარტს ამკვიდრებს ამ რეგიონში და, ზოგადად, შავიზღვისპირეთში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** „ამბასადორ აილენდ ბათუმის“ პირველი ცათამბჯენის მშენებლობის დაწყების ცერემონიაზე განაცხადა.

**„დღევანდელი მოვლენა ნამდვილად ისტორიულია თავისი შინაარსით. დღეს ჩვენ საფუძველს ვუყრით „ამბასადორის კუნძულის“ პირველ, უმსხვილეს ნაგებობას, რომელიც თვისებრივად ახალ სტანდარტს ამკვიდრებს ამ რეგიონში და, ზოგადად, შავიზღვისპირეთში. ეს ინიციატივა უპრეცედენტო მასშტაბისაა. ზღვაში 84 ჰექტარი ტერიტორიის ფორმირება ურთულესი საინჟინრო გამოწვევაა. დღეს უკვე ვხედავთ, რომ მიწის სამუშაოების 50 პროცენტზე მეტი შესრულებულია და 48 ჰექტარი მიწა უკვე ექსპლუატაციაშია მიღებული. ეს არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ საქართველოში ყველაზე თამამი და ამბიციური იდეების სწრაფი და ეფექტური განხორციელება სრულიად რეალურია.**

**ჩვენთვის ძალიან ღირებულია პროექტის ეკონომიკური განზომილება. მხოლოდ პირველი ცათამბჯენის მშენებლობაში 200 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. კუნძულის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ კი ბიუჯეტში წლიურად 65 მილიონი დოლარის გადასახადი შევა“,** – განაცხადა პრემიერმა.

**მადლობას ვუხდი „ამბასადორი ჯგუფს“ და თითოეულ ადამიანს, ვინც ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაშია ჩართული – მადლობა არქიტექტორებს, ინჟინრებს, მშენებლებსა და ყველა სპეციალისტს, ვისი ყოველდღიური შრომითაც ეს პროექტი ხორციელდება. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ამ პროექტის სულის ჩამდგმელს, ბატონ ბუბა ქებურიას ამ უნიკალური პროექტის განხორციელებისთვის. 2029 წელს ჩვენ უკვე ვიხილავთ დასრულებულ პირველ ცათამბჯენს. ეს იქნება განვითარებისა და პროგრესის ახალი სიმბოლო, რომელიც ბათუმს და, ზოგადად, საქართველოს კიდევ უფრო მყარად დაამკვიდრებს მსოფლიოს საინვესტიციო და ტურისტულ რუკაზე“,** – განაცხადა პრემიერმა.

* * *

**ეუთოს „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოზე მომზადებული ანგარიში არის სიცრუით გაჯერებული,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი, რეალურად პროცესი იყო ინიცირებული, მათ შორის, პოლონეთის სახელმწიფოს მხრიდან და გაირკვა, რომ ექსპერტი თავად ყოფილა პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი.

**„ეს იყო პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტი. ფაქტი, რომ ინტერესთა კონფლიქტი დამალა ამ კონკრეტულმა ადამიანმა, ეჭვებს აღრმავებს. ყველამ ვიცით, რომ წინასწარ იყო დაწერილი ის დასკვნა, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა. საბოლოო ჯამში, ყველა ვხედავთ, რომ თავიდან ბოლომდე სიცრუით არის გაჯერებული ეს დასკვნა, რაზეც საზოგადოებას კიდევ უფრო ფართოდ წარვუდგენთ ინფორმაციას. ჩვენ, პირველ რიგში, ვამხელთ ყველა იმ სიცრუეს, რომელიც არის ასახული ამ დასკვნაში.**

**ასევე, მინდა, აღვნიშნო, ამ დასკვნაში არის წარმოდგენილი კონკრეტული ინფორმაცია და რეკომენდაციები, რომლებიც შეესაბამება სინამდვილეს და რომელთა გათვალისწინებაც არის აუცილებელი. ასეთი ჩანაწერებიც არის ამ დასკვნაში. ამაზე დეტალურ ინფორმაციას წარვუდგენთ საზოგადოებას. ჩვენ ალბათ სპეციალურ ბრიფინგსაც მივუძღვნით ამ საკითხს გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის ქონა ამ საკითხზე. არის საკითხები, რაზეც ჩვენ გვჭირდება ყურადღების გამახვილება, თუმცა მთლიანობაში ეს დასკვნა არის სიცრუით გაჯერებული...**

* * *

**მსოფლიოში არის რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე და ქვეყნის შიგნით არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ აღიარებენ ხელისუფლების ლეგიტიმაციას და იურისდიქციას 100 პროცენტზე. ჩვენ ვერ ვიქნებით ლოიალური ასეთი პოლიტიკური ძალების მიმართ,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა ჯერ აღიარონ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების იურისდიქცია, მერე ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი.

**„ცხრა პარტია გამოვიდა, გამოაქვეყნეს რაღაც მანიფესტი და საუბრობდნენ რაღაც არალეგიტიმური რეჟიმის დამხობაზე, პირდაპირ მანიფესტში უწერიათ. ასეთ ხალხს როგორ უნდა ველაპარაკოთ? ჯერ დაარწმუნონ ეს ადამიანები, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ მათ უნდა აღიარონ ამ ქვეყანაში ხელისუფლების ლეგიტიმაცია, იურისდიქცია. მე კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო, რომ მსოფლიოში არის რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე და ქვეყნის შიგნით არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ აღიარებენ ხელისუფლების ლეგიტიმაციას და იურისდიქციას 100 პროცენტზე. ჩვენ ვერ ვიქნებით ლოიალური ასეთი პოლიტიკური ძალების მიმართ. ჯერ აღიარონ ლეგიტიმაცია და ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების იურისდიქცია, მერე ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი. ისინი არ აღიარებენ ხელისუფლების ლეგიტიმაციას 2020 წლიდან მოყოლებული, ეს არის კომპლექსური პრობლემა. ჯერ დაარწმუნონ ეს ადამიანები, რომ უნდა მოიქცნენ კარგად, მერე ვისაუბროთ ყველაფერ დანარჩენზე“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა...

* * *

**გრძელდება „ოცნების ქალაქის“ პროექტი და მომავალ წელს ექსპლუატაციაში შევა ათასზე მეტი ბინა, რომელიც უფასოდ გადაეცემა „ოცნების ქალაქში“ ჩასახლებულ ჩვენს მოქალაქეებს – ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი და ეს არის ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცადა.

პრემიერმა ასევე დაათვალიერა მშენებარე საცურაო აუზი ბათუმში.

**„აჭარაში ვიმყოფებოდით რამდენიმე ობიექტზე. გრძელდება „ოცნების ქალაქის“ პროექტი და, სავარაუდოდ, მომავალ წელს ექსპლუატაციაში შევა ათასზე მეტი ბინა, რომელიც უფასოდ გადაეცემა ე. წ. ოცნების ქალაქში ჩასახლებულ ჩვენს მოქალაქეებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და ეს არის ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულება. ჩვენ ასევე დავათვალიერეთ მშენებარე საცურაო აუზი ბათუმში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა. გუშინ ასევე მონაწილეობა მივიღეთ „ჯითი მოტორსის“ შოურუმის გახსნაში. ეს პროექტები აჩვენებს იმას, თუ რამდენად სწრაფად ვითარდება ბათუმი, აჭარის რეგიონი და მთლიანად ჩვენი ქვეყანა“,** – განაცხადა პრემიერმა.

## შალვა პაპუაშვილი:

# ვნახეთ დოკუმენტი, რომელიც სავსეა ცილისწამებით, ჭორზე დაფუძნებული დასკვნებით!..

**პარლამენტის თავმჯდომარემ ეუთო-ს „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში მომზადებულ ანგარიშზე, „იმედის“ ეთერში გამართულ დებატებზე ისაუბრა.**



შალვა პაპუაშვილის თქმით, ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ გამოიყენება სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან საკუთარი პოლიტიკის განსახორციელებლად.

**„ჩვენ ვნახეთ დოკუმენტი, რომელიც სავსეა ცილისწამებით, სავსეა მონაყოლზე, ჭორზე დაფუძნებული დასკვნებით, რომელიც გასცდა თავის მანდატს და საბოლოო ჯამში, არის კარგი მაგალითი, თუ როგორ გამოიყენება სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან საკუთარი პოლიტიკის განსახორციელებლად.**

**ორი დღით იყო ადამიანი ჩამოსული, რომელსაც არანაირი პროფესიული კავშირი საქართველოსთან არ ჰქონია და რამდენიმე დღეში გვეუბნებიან, რომ 100-გვერდიანი დასკვნა დაწერა – დაწყებული, როგორც ის ეძახის, წამების საკითხებით და დასრულებული უმაღლესი განათლების რეფორმით.**

**ირკვევა, რომ ეს ექსპერტი პირდაპირ არის დაკავშირებული პოლონეთის მთავრობასთან. პოლონეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ჩვენ ვიცით.**

**ასევე, ვიცით ჩვენ პოლონეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილი ექიმები რომ იყვნენ ჩამოსულები მიხეილ სააკაშვილთან და წინდით გაჰქონდათ უჩუმრად ნიმუშები.... ასე, რომ ესეც ცალკე საკითხია, რომელიც სერიოზულ ეჭვს იწვევს “...**

# პოლიტიკური ანგარიშსწორება

## ნიკოლოზ სამხარაძე:

## პატრიცია გჟებიკი ვერანაირად ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ექსპერტი!

**პატრიცია გჟებიკის რეზიუმე „ქართული ოცნებისთვის“ უფრო მეტს ამბობს, ვიდრე უბრალოდ რეგალია, რომ ის ექსპერტია.**



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სამხარაძე** აქცენტს „მოსკოვის მექანიზმის“ დასკვნის ავტორის პოლიტიკურ მიკერძოებაზე აკეთებს და მიიჩნევს, რომ დოკუმენტის მიზანი პოლიტიკური ანგარიშსწორებაა.

**„სხვათა შორის, იმ CV-ში, რომელიც გამოაგზავნეს პირველად, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო, არ ეწერა, რომ ეს ქალბატონი არის პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს წევრი. ნათელია, რომ ის ვერანაირად ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ექსპერტი, არამედ, ამ შემთხვევაში წარმოადგენდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს.**

**შესაბამისად, უკვე აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ დასკვნაც მიკერძოებულია. რა თქმა უნდა, არანაირი მტკიცებულება ამ დოკუმენტში არ არსებობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის უბრალოდ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული დოკუმენტი“,** – მიიჩნევს **ნიკოლოზ სამხარაძე.**

პატრიცია გჟებიკი ის ე.წ. დამოუკიდებელი ექსპერტია, რომელმაც სავარაუდოდ, წინასწარ დაწერილ დეზინფორმაციას ხელი მოაწერა და „მოსკოვის მექანიზმის“ დასკვნად წარმოადგინა.

# კონფლიქტის ასე საშინლად გაშუქება არავის ეპატიება!

## აშშ-ის კომუნიკაციების ფედერალური კომისიის თავმჯდომარე მაუწყებლებს ლიცენზიების გაუქმებით ემუქრება, სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის შესახებ „ტყუილების გავრცელების გამო!

კომისიის თავმჯდომარე **ბრენდან კარმა,** რომელიც კომუნიკაციების ფედერალური კომისიის თავმჯდომარეა, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ჩანაწერში „ყალბი ამბები“ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ თუ მაუწყებლობის ინდუსტრია „გეზს არ გამოასწორებს“, მათ, შესაძლოა, მაუწყებლობის ლიცენზიები გაუუქმდეთ.



**„მაუწყებლებმა უნდა იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ ლიცენზიებს“,** – თქვა **კარმა.**

მის ჩანაწერს ერთვოდა სოციალურ ქსელში, „თრუს სოშიალში“ დონალდ ტრამპის მიერ გავრცელებული განცხადება, რომელშიც ის ამერიკული მედიის ნაწილის მიერ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის გაშუქებას „შეცდომაში შემყვანსა“ და „საშინელს“ უწოდებს.

## „დემოგრაფიული ორმო“

საქართველოს რესპუბლიკა

**სახელმწიფოს ეფექტური მართვა პრიორიტეტების დანახვას გულისხმობსო, ამბობენ საქმის მცოდნე ექსპერტები.**

**მისასალმებელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მე-14 წელს გააცნობიერა ეს ჭეშმარიტება და პატივმოყვარე ლუი მეთოთხმეტის სტილში წამოიწყო ისეთი ამბიციური პროექტების განხორციელებისთვის მზადება, რომლებმაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გამოიღოს ნაყოფი.**

**ასეთი აქტივობის პარალელურად, იმედისმომცემი იყო საქართველოს პარლამენტში ინტერპელაციის წესით პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის გამოსვლა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უკონტროლო მიგრაციას და არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზით წარდგა ფართო საზოგადოების წინაშე.**



# პასიურობა თვით-მკვლელობის ტოლფასია

**„არსასმენელის მოსმენა არს უმჟავესი წამხისაო“, ამბობს რუსთაველი. შესაძლოა, ვინმეს ეხამუშა, სახიფათო დემოგრაფიული მდგომარეობის კონტექსტში პრემიერმა სიტყვა „კატასტროფული“ რომ გამოიყენა, მაგრამ რა გაეწყობა, უმჯობესია, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და საგნებსაც დავარქვათ შესაბამისი სახელი. საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს გაეროს კომპლექსური კვლევის შედეგი, რომლის მიხედვით, ქართველი ერი მომაკვდავთა შორის არის შეყვანილი და 2050 წლისათვის უმცირესობაში აღმოვჩნდებით მშობლიურ ქვეყანაში.**

**ობიექტურობა გვავალდებულებს ვაღიაროთ, რომ დემოგრაფიული გუმი არც საბჭოთა პერიოდში ყოფილა საქართველოში, როცა სოციალურ-ეკონომიკური ფონი წარმოუდგენლად მაღალი იყო ამჟამინდელთან შედარებით. ამ მიმართულებით დაუღალავად მუშაობდნენ ისეთი სახელოვანი დემოგრაფები, როგორებიც იყვნენ: პაატა გუგუშვილი და ლეო ჩიქავა, თუმცა, მრავალშვილიანი ოჯახები მაინც იშვიათობა იყო.**

დასაფასებელია პროფესორ **ანზორ თოთაძის** ძალისხმევა, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს, ხელისუფლების ყურადღების მიღმა არ დარჩეს სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტუალური საკითხები, დემოგრაფიის მიმართულებით.

უნდა დავსხდეთ სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები, ხელისუფლება და შევადგინოთ დემოგრაფიული განვითარების პროგრამაო, ამბობდა ბატონი თოთაძე 2023 წლის მაისის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში. ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ თუ არ დაიწყო აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები იმაზე უარესი იქნება, ვიდრე დღეს გვაქვსო, დასძენდა მეცნიერი და მრავალშვილიანობის წახალისება-სტიმულირებას გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევდა.

**დასანანია, რომ დღემდე არ გასაჯაროვებულა 2024 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები, რაც იძლევა ეჭვის საფუძველს იმაზე რთულ ვითარებაში ვიმყოფებით, ვიდრე წარმოდგენა შეგვიძლია.**

სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური დაზუსტებულ მონაცემებს რამდენიმე თვეში გამოაქვეყნებსო, დაგვპირდა პრემიერ-მინისტრი, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რა გახდა ასეთი პრობლემატური, ორი წელი რომ დასჭირდა მონაცემების დაზუსტებას?..

დასანანია, რომ საქართველოში ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ და პატრიოტული სულისკვეთების მამულიშვილებს არ უსმენენ, არადა, მათი რჩევები მხოლოდ წაადგებოდა სახელმწიფოს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო იყო მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის კობა არაბულის წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა შეიქმნას ერის დემოგრაფიული გადარჩენის მოდელი და აღდგეს ისტორიული თემი, სოფლის დემოგრაფიული რკალი, როგორც ქართველი ერის დამცავი სისტემა!

თქვენი მონა-მორჩილის მოკრძალებული აზრით, ეს გახლავთ უაღრესად საშური საქმე, გადაუდებელი ამოცანა, რადგან საფრთხე გაცილებით რეალურია, ვიდრე ზერელედ დამკვირვებელმა შეიძლება წარმოიდგინოს.

**სტატისტიკამ ყველაფერი იცისო, ამბობდნენ ილფი და პეტროვი. ცხადია, სტატისტიკა ფრიად მნიშვნელოვანი რამეა, თუკი კეთილსინდისიერი ადამიანების მიერ იქნება წარმოებული, რადგან რეალობასთან მიახლოებული სიზუსტით ასახავს არსებულ მდგომარეობას. გოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 232 ქვეყანას შორის, საქართველო 174-ე ადგილზეა შობადობის შემცირების მაჩვენებლით, რაც საფუძვლიან გაანალიზებას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას საჭიროებს.**

**ჩვენ მთავრობა გვიფრთხილდება, სათითაოდ გვითვლისო, წერდა გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი პოეტი ნაზი კილასონია, რაც ნამდვილად შეიცავდა სიმართლის მარცვალს.**

გარდა იმისა, რომ დათვლასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე გვქონდა ზემოთ საუბარი, არც მოფრთხილების თვალსაზრისით ვართ რიგითი ქართველები განებივრებულნი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, საქართველოში 1 მილიონ 300 ათასი ადამიანი სარგებლობს სოციალურად დაუცველთა პროგრამით, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია, მაგრამ ფასების არნახულად ზრდის პარალელურად საარსებო მინიმუმი რომ 255 ლარია, ამას რა გამართლებას მოუძებნის ხელისუფლება, ჩემთვის გაუგებარია. ანდა, როგორ შეიძლება დაცულად გრძნობდნენ თავს ასაკოვანი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ 20 და 45 ლარით გაუზარდეს პენსია?!

გულწრფელად მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას სოციალურად დაუცველთა რეესტრის გადასინჯვასთან დაკავშირებით, სადაც თვალნათლივ იკვეთება კორუფციის ნიშნები, მაშინ, როცა ათასობით უპოვარი საჭიროებს ფინანსურ შემწეობას. სოციალურმა აგენტმა, თუკი უცხოური სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული აგენტი არაა იგი, სტატუსის მიკუთვნებაზე კატეგორიული უარი არ უნდა განუცხადოს მარტოხელა მამის კმაყოფაზე მყოფ მრავალშვილიან ოჯახს, იმის გამო, რომ საუკუნის წინათ აშენებული სახლის სასტუმრო ოთახში პარკეტი დახვდა დაგებული. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, სააკაშვილის პრეზიდენტობის ეპოქაში მაცივარი, ტელევიზორი, სარეცხის მანქანა და ფარდები ფუფუნების საგნებად რომ იყო გამოცხადებული.

* * *

**დედაკაცი არის არსი მრავლებისა და პირობა კაცთა მოდგმის მარადისობისაო, ვკითხულობთ გახმაურებულ რომანში „დათა თუთაშხია“. იმის გათვალისწინებით, რომ დედაკაცი არის არსი მრავლებისა და კაცთა მოდგმის მარადისობისა, სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას უნდა იჩენდეს ქალთა საზოგადოების მიმართ მთლიანად, კერძოდ კი მომავალი დედების მიმართ. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ინკუბაციური პერიოდის პირველი დღე-ღამის შემდეგ, ქათმის კვერცხში შეინიშნება მუქი წერტილი, წინწილას ჩანასახი, რასაც არისტოტელემ დაარქვა „სიცოცხლე სიცოცხლეში“. ეს ტევადი მეტაფორა ორგანულად მიესადაგება ფეხმძიმე ქალს, რომელსაც ქართულ მეტყველებაში საოცარი სახელი – ორსული ჰქვია!**

ახლა, როცა ლიბერალიზმის ჭაობში ყელამდე ჩაფლობილ გეოგრაფიულ დასავლეთში დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი ოჯახის ინსტიტუტის რაობასთან დაკავშირებით, ტრადიციების ერთგულ ქართველებისთვის ოჯახი ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებასთანაა გაიგივებული. ქართველებს ასევე გვაქვს საოცრად ტევადი სიტყვა – მეუღლეები, რომლის შესატყვისს ვერცერთ სხვა ენაში ვერ შეხვდებით. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა მწერალ ოტია იოსელიანის მოსაზრება, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ბატონმა ვახტანგ ნადარეიშვილმა მომაწოდა: **„ვინც იბადება, იმის ცალიც იბადება, მაგრამ საუბედუროდ, იმ ათასობით უსახურში იმ შენი ტოლფასის პოვნა ჭირს. არც ის შენი ნამდვილი ნახევარი არგია სხვას და არც შენ – სხვის ნახევარს. ორივეს დაღლილი წამებაა და ძებნა უპოვარისა.**

ხანჯლით შუაში გაჩეხილი არიან ადამიანები და სხვა სხვის ნახევარს სახელდახელოდ ნაჩქარევად მიკერებული ვერ ჰგუობს სხეული უცხო სხეულს და ერთმანეთს წამლავს. ათასში ერთს თუ გამართლებია და თავისი ნახევარი დასტოლებია“...

იხ. 7 გვ.

# ბოლნისში 2 საბავშვო ბაღი განახლდა



**ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, ზამურ ჭითანავამ, საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრ რევაზ სოხაძესთან, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ბექა ურუშაძესთან, საქართველოს პარლამენტის წევრ დავით შერაზადიშვილთან, ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ილია ჯალაღანიასთან და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი სვანიძესთან ერთად, ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული 2 საბავშვო ბაღი დაათვალიერა.**

სოფელ ქვემო ბოლნისის 125 ბავშვზე გათვლილი ამორტიზებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა. შენობაში გათვალისწინებული იქნება ბავშვების განათლების, სოციალიზაციისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ყველა საჭიროება. ბაღში, სასწავლო და მოსასვენებელ ოთახებთან ერთად, მოეწყობა სათამაშო და რეკრეაციულ ზონები, ეზო და სათამაშო მოედნები.

პროექტის ფარგლებში, ქვემო ბოლნისის საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო ადაპტირებული შიდა და გარე სივრცეები. სოფელ ტანძიაში 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის პროექტის ფარგლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო ადაპტირებული შიდა და გარე სივრცეები. შენობაში გათვალისწინებულია ბავშვების განათლების, სოციალიზაციისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ყველა საჭიროება.



ტანძიის საბავშვო ბაღში სასწავლო და მოსასვენებელ ოთახებთან ერთად მოეწყობა სათამაშო და რეკრეაციული ზონები, ეზო და სათამაშო მოედნები, რაც ბავშვებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას ემსახურება.

საქართველოს რესპუბლიკა
საზიფათო თამაშები
№31. ორშაბათი, 16 მარტი, 2026 წელი




# ქართველთა მორალური განიარაღების ვერაგული მცდელობა!

## ღია წერილი ეუთოს მუდმივ საბჭოს, საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით — ახალგაზრდობას!

(პირველი გვერდიდან)

**ეუთოს ეგრეთ წოდებული „მოსკოვის მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოზე მომზადებული ანგარიში სწორედ ზემოთ ნახსენები სახიფათო ზღვრის გადალახვის, დამოუკიდებლობის პრინციპების უგულებელყოფისა და დიპლომატიური ეტიკეტით შენიღბული პოლიტიკური ჩარევის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ.**

წარმოდგენილი დოკუმენტი უკვე დიდი ხანია აღარ სჯერდება მოვლენათა მშრალ აღწერას, ფაქტების დადასტურებას ან ზოგად სამართლებრივ რეკომენდაციებს, რაც სინამდვილეში მისი უფლებამოსილების მთავარ ბირთვს უნდა წარმოადგენდეს. იგი აშკარა და ღია ტექსტით ცდილობს, საქართველოს სახელმწიფოს უკარნახოს საკუთარი არსებობის წესები. დაგვიდგინოს, თუ რომელი კანონებია მისაღები და რომელი დასაწუნი; რომელი პოლიტიკური პროცედურები უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ; რომელი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეჩერდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე; როგორი უნდა იყოს საზოგადოების მორალური ჩარჩო; სად მთავრდება ეროვნული იურისდიქციის საზღვრები და სად იწყება ზეეროვნული ბიუროკრატიის უაპელაციო მბრძანებლობა.

სწორედ მიმდინარე მოვლენების გამო წინამდებარე წერილი სცდება მხოლოდ ერთი კონკრეტული ანგარიშის შეფასების ფარგლებს. საქმე გვაქვს პასუხთან ბევრად უფრო ფუნდამენტურ და საშიშ მოვლენაზე. ვგულისხმობ იმ გლობალურ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მცირე და საშუალო სახელმწიფოებს სულ უფრო ხშირად ესაუბრებიან ძლიერი ზედამხედველის ენით სტრატეგიული პარტნიორის მაგივრად. ხშირ შემთხვევაში იკვეთება იერარქიული მორალური კარნახისა და „უფროსი ძმის“ ფორმატი სუვერენული თანასწორობისა და პატივისცემის ნაცვლად.

საქართველოსთვის მსგავსი დილემა აბსტრაქტულ თეორიას და აკადემიური დისკუსიის საგანს სრულებითაც არ წარმოადგენს. ჩვენს სახელმწიფოს თავისი ურთულესი და სისხლიანი ისტორიული განვითარების მანძილზე არაერთხელ მოუწია ფიზიკური და სულიერი ბრძოლა გეოგრაფიული საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. პარალელურად მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა საკუთარი არსობრივი უსაფრთხოების, ცხოვრების წესის, სარწმუნოებრივი მრწამსის, კულტურული მეხსიერებისა და სოციალური წყობის გადასარჩენად. ქართველი ერისთვის სახელმწიფო არასოდეს ყოფილა მხოლოდ ადმინისტრაციული მექანიზმი ან ცარიელი ჭურჭელი. იგი ყოველთვის წარმოადგენდა უზენაეს უფლებას, თავად განესაზღვრა საკუთარი ისტორიული განვითარების გზა, თავად დაედგინა თამაშის წესები და თავადვე ეტვირთა საკუთარი ისტორიული არჩევანის პასუხისმგებლობა.

**შესაბამისად, როდესაც დღეს დირექტიული, ულტიმატუმის ტონით გვეუბნებიან ეროვნული კანონმდებლობის ცალკეული აქტების გაუქმების აუცილებლობაზე, საუკუნეებით ნაშენები ღირებულებითი საყრდენის შეცვლაზე, კონკრეტული დამნაშავეების მიმართ ბრალდებების მოხსნასა და დამატებითი ზეწოლის საერთაშორისო მექანიზმებში ქვეყნის ჩართვაზე, მსგავსი რიტორიკა სამართლებრივ ან მეგობრულ რჩევად ვეღარანაირად წაიკითხება. აღნიშნული მიდგომა საქართველოს დამოუკიდებლობის მიზანმიმართულ რღვევას და გარე მეურვეობით მის ჩანაცვლებას ემსახურება.**

ხსენებულ გამოწვევებზე პასუხი უნდა იყოს აკადემიურად მშვიდი, არგუმენტირებული და პარალელურად პოლიტიკურად შეუბრალებელი. საქართველო სრულებით დასაშვებია გამოვიდეს თანამშრომლობისა და პარტნიორობის თანასწორუფლებიან მონაწილედ საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა ქვეყანა ვერასოდეს და ვერცერთ ისტორიულ ეპოქაში ვეღარ დაუბრუნდება პოლიტიკური და იდეოლოგიური გადაფორმების უუფლებო საგნის სტატუსს.

პოლიტიკურ მეცნიერებასა და საერთაშორისო სამართალში უკიდურესად მნიშვნელოვანია ორი სრულიად განსხვავებული ცნების გამიჯვნა. კერძოდ, უნდა განვასხვავოთ საერთაშორისო შეფასება და პოლიტიკური დირექტივა.

საერთაშორისო კრიტიკა ინარჩუნებს თავის კანონიერებას, მორალურ წონასა და გავლენას ზუსტად იქამდე, სანამ იგი ახდენს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ნებისმიერი მსგავსი კონსტრუქცია მყისიერად ინგრევა იმ მომენტში, როდესაც ე.წ. „რეკომენდაცია“ სცილდება კონსულტაციის ფარგლებს და სახელმწიფოს საკანონმდებლო, სასამართლო და კულტურულ სივრცეში ეროვნული ნების წართმევის მცდელობად იქცევა.

როდესაც საერთაშორისო ინსტიტუტი სუვერენულ სახელმწიფოს ღიად ავალდებულებს კონკრეტული, დემოკრატიულად მიღებული კანონების გაუქმებას, სოციალური და ოჯახური პოლიტიკის ფილოსოფიის შეცვლას და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელი ღირებულებითი დღის წესრიგის დანერგვას, მსგავსი ქმედება ნეიტრალურ დაკვირვებას ნამდვილად აღარ წარმოადგენს. ასეთი ნაბიჯები დამოუკიდებელი არჩევანის დაკნინების პირდაპირი გამოხატულებაა. ფუნდამენტური პრობლემა იკვეთება როგორც შინაარსში, ისე თავად მიდგომაში. სახეზეა პოლიტიკურად მიკერძოებული, იდეოლოგიზებული ჩარჩო, რომელიც საქართველოს შიდაპოლიტიკური სპექტრის ერთ კონკრეტულ ფლანგს ანიჭებს მორალურ მონოპოლიასა და განსაკუთრებულობას, სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებს კი წინასწარვე აცხადებს მიუღებლად. მსგავსი მიდგომა მოკლებულია იურიდიულ საფუძველს და სრულიად აბსურდულია პოლიტოლოგიური თვალსაზრისით. ყველაზე მთავარი კი გახლავთ აღნიშნული დამოკიდებულების სახელმწიფოებრივი ღირსების ღრმად შეურაცხმყოფელი ხასიათი.




**დღევანდელ გლობალისტურ ნარატივში ხშირად იკვეთება დამოუკიდებლობის იდეის დაკნინების ტენდენცია. მას წარმოაჩენენ რაღაც მოძველებულ, ექსმიტანილ, საზიანო ან სულაც ავტორიტარული ინსტინქტების გამომხატველ გადმონაშთად. მსგავსი ინტერპრეტაცია ფუნდამენტურად და სახიფათოდ მცდარია პოლიტოლოგიური და ისტორიული გადმოსახედიდან.**

სუვერენიტეტი გარიყვას ან პასუხისმგებლობისგან გაქცევას ნამდვილად არ გულისხმობს. პირიქით, დამოუკიდებლობა წარმოადგენს იმ ერთადერთ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოწყობას, სადაც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას რეალური, ხელშესახები შინაარსი გააჩნია. თუ კანონთშემოქმედების, სოციალური წესრიგის განსაზღვრისა და ეროვნული ინტერესის ფორმულირების განსაკუთრებული უფლება საბოლოო ჯამში სახელმწიფოს არ ეკუთვნის, გაურკვეველი რჩება პასუხისმგებლობის საკითხი შედეგებზე. ვის უნდა მოჰკითხოს ხალხმა? უცხოურ, აბსტრაქტულ ბიუროკრატიას და ზეეროვნულ კომისიებს მოვთხოვოთ პასუხი, რომლებსაც არანაირი ანგარიშვალდებულება არ გააჩნიათ ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე? თუ გარედან მართულ პოლიტიკურ წრეებს მივმართოთ?

სახელმწიფო სრულფასოვან, საკუთარი ნებისა და პასუხისმგებლობის მქონე მოთამაშეს უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაიქცევა გარედან მართულ ტერიტორიად და სხვების გეოპოლიტიკური თამაშების საყრდენად. შუალედური მდგომარეობა ისტორიულად არასდროს ყოფილა მდგრადი.

ჩვენთვის, ერისთვის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უწევდა ურთულესი მანევრირება და სისხლისმღვრელი ბრძოლები რეგიონულ თუ მსოფლიო იმპერიებს შორის, დამოუკიდებლობა ლოზუნგს, პოლიტიკურ გაფორმებას ან ცერემონიულ ტერმინს არანაირად არ წარმოადგენს. იგი ტკივილით, სისხლითა და ბრძოლით მოპოვებულ პოლიტიკურ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ. ისტორიული მეხსიერებით გამყარებული მოცემულობა გვკარნახობს სტრატეგიული დიალოგისა და თანამშრომლობის მიუხედავად ეროვნუ-

**როდესაც საერთაშორისო პლატფორმებიდან მცირე ერს ცინიზმით, მბრძანებლურად მიუთითებენ, რომ მისი ისტორიულ-რელიგიური და მორალური ინტუიცია „მოძველებულია“, „ჩამორჩენილია“ და დაუყოვნებლივ უნდა დაუთმოს ადგილი გარედან თავსმოხვეულ, საცდელ სოციალურ ფილოსოფიას, საზოგადოების მძაფრი წინააღმდეგობა აბსოლუტურად ჯანსაღ და ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს.**

**ანგარიშის ერთ-ერთ ყველაზე ხისტ მოთხოვნას და მთავარ აქცენტს ეგრეთ წოდებული გამჭვირვალობისა და უცხოური გავლენის შესახებ კანონების სრული გაუქმება წარმოადგენს. ზუსტად ამ საკითხში ვლინდება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე ცინიკური ორმაგი სტანდარტი და ფარისევლობა.**

ლი, სამართლებრივი და მორალური წესრიგის გარედან დაწერის მცდელობის კატეგორიულ მიუღებლობას. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით სხვისი კარნახით განსაზღვრული „ნამდვილი პროგრესის“ რეალური ფასი.

ანგარიშის ერთ-ერთ ყველაზე ხისტ მოთხოვნას და მთავარ აქცენტს ეგრეთ წოდებული გამჭვირვალობისა და უცხოური გავლენის შესახებ კანონების სრული გაუქმება წარმოადგენს. ზუსტად ამ საკითხში ვლინდება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე ცინიკური ორმაგი სტანდარტი და ფარისევლობა.

დღევანდელ მსოფლიოში გეოპოლიტიკური გავლენა და გაფართოება მხოლოდ ტანკებით, რაკეტებითა და ოფიციალური დიპლომატიით აღარ ხორციელდება. XI საუკუნის სტრატეგიული გავლენა ვრცელდება ფინანსური ქსელებით, მულტიმილიონიანი გრანტებით, არასამთავრობო ქსელებით, მედიური სივრცის კონტროლითა და პოლიტიკური დღის წესრიგის მიზანმიმართული ფორსირებით. მსგავსი მიდგომა „რბილი ძალის“ კლასიკური გამოვლინებაა და ხშირად ბევრად უფრო დამანგრეველ შედეგებს იწვევს ღია სამხედრო აგრესიასთან შედარებით.

თუ უცხოური დაფინანსება და გავლენა მართლაც ასეთი უწყინარი, აპოლიტიკური და წმინდა ჰუმანიტარული ხასიათისაა, გაუგებარია მისი მკაცრი კონტროლის და აღრიცხვის აუცილებლობა წამყვანი დასავლური დემოკრატიების ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. რატომ ითვლება ვაშინგტონში თუ პარიზში სახელმწიფოს დაცვის კანონიერ აქტად და ეროვნული უსაფრთხოების ელემენტად ის ქმედება, რომელსაც თბილისში დემოკრატიაზე თავდასხმად ნათლავენ.

დასმული კითხვის პასუხი ხსნის მთელ იმ პოლიტიკურ ლოგიკას, რომელიც მსგავსი ანგარიშების უკან დგას. პრობლემა სინამდვილეში გამჭვირვალობას არ უკავშირდება. მიზანს პატარა სახელმწიფოს უწყებრივი დაბრმავება და მისი სუვერენული იმუნიტეტის დაქვეითება წარმოადგენს. პატარა სახელმწიფოსთვის საკუთარი პოლიტიკური გარემოს დაფარული ფინანსური არხებისგან იზოლირება და მათი გამჭვირვალობა ფიზიკური გადარჩენის სასიცოცხლო აუცილებლობაა, ვინაიდან მას არ გააჩნია დიდი სახელმწიფოების მსგავსი ეკონომიკური რესურსი და შთანთქმის უნარი. თუ სახელმწიფო საკუთარ ნერვულ სისტემას გამჭვირვალობისგან დაიცლის, იგი ადრე თუ გვიან სხვისი დღის წესრიგის უბრალოო გამტარ მილად იქცევა. გამჭვირვალობა თავისუფლების მტერი სრულებითაც არ გახლავთ. თავისუფლების რეალურ მტერს ფარული, დაუფინანსებელი პოლიტიკური ინჟინერია წარმოადგენს.

ანგარიშის ყველაზე მგრძნობიარე, ღრმა და სახიფათო ნაწილი გადის ოჯახურ ნორმებზე, ტრადიციებზე, სქესობრივ იდენტობასა და იმ ფუნდამენტურ შეხედულებებზე, რომელთა საყოველთაო გავრცელებასაც თანამედროვე, გლობალური ულტრალიბერალური ჯგუფები ესწრაფვიან.

მოცემულ საკითხზე აუცილებელია ინტელექტუალური სიცხადე. ქართულ ისტორიულ და სოციალურ მეხსიერებაში ოჯახი არასოდეს ყოფილა ლოკალური, კერძო ყოფის რიგითი შემადგენელი ნაწილი ან უბრალოდ იურიდიული ხელშეკრულება ორ ადამიანს შორის. ოჯახი ჩვენთვის ენის, სარწმუნოების, ზნეობრივი ფორმაციის, ტრადიციისა და ეროვნული იდენტობის გადაცემის უმთავრეს, წმინდა ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი იყო და არის გადარჩენის ის მინიმალური, მაგრამ ურყევი ცივილიზაციური დასაყრდენი, რომელსაც ჩვენი ერი მაშინაც კი ინარჩუნებდა, როცა სახელმწიფოებრიობა ინგრეოდა და ქვეყანა მტრის უღელქვეშ გმინავდა.

როდესაც საერთაშორისო პლატფორმებიდან მცირე ერს ცინიზმით, მბრძანებლურად მიუთითებენ, რომ მისი ისტორიულ-რელიგიური და მორალური ინტუიცია „მოძველებულია“, „ჩამორჩენილია“ და დაუყოვნებლივ უნდა დაუთმოს ადგილი გარედან თავსმოხვეულ, საცდელ სოციალურ ფილოსოფიას, საზოგადოების მძაფრი წინააღმდეგობა აბსოლუტურად ჯანსაღ და ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს.

მსგავსი პოზიცია არანაირ ფობიას, სიძულვილს ან ადამიანის ღირსების უარყოფას არ უკავშირდება, როგორც ამას ხშირად მიზანმიმართულად აბრალებენ ქართველ საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, ვსაუბრობთ ერის უზენაეს და ხელშეუხებელ უფლებაზე, თავად განსაზღვროს თავისი სოციალური ეთიკისა და მორალის საფუძველი. სხვა, განსხვავებული ისტორიული გამოცდილების მქონე სივრცეში მიღწეული ლოკალური შეთანხმება ავტომატურად არ უნდა იქცეს საყოველთაო, სავალდებულო კანონად ჩვენთვის.

**ქართველ ერს არ გააჩნია არანაირი ვალდებულება, საკუთარი ხელით გადაიჭრას სულიერი და კულტურული ძარღვები მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ვინმეს თვალში „საკმარისად თანამედროვედ“ გამოიყურება.**

ზედაპირული, არაკომპეტენტური დამკვირვებლისთვის ჩვენი მსგავსი პოზიცია შესაძლოა „გადაჭარბებულ რეაქციად“ ან ანტიდასავლურ ისტერიად მოჩანდეს. ვინც იცის საქართველოს პოლიტიკური ისტორია და ვისაც ესმის ამ ერის ტრავმები, ზუსტად ის ადამიანები ხედავენ რეალურ სურათს.

* * *

**ქართული სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და არსებობდა მუდმივი, დაუნდობელი სამხედრო, რელიგიური და კულტურული წნეხის პირობებში. ჩვენ არაერთხელ გაგვივლია ის გზა, როცა გარედან შემოსული იმპერიული ძალა ქვეყნის ტერიტორიის მიტაცებასთან ერთად ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლას, ერთგულებების გადანაცვლებას, ტრადიციული თვითშეფასების გატეხვასა და ელიტების უცხო წესრიგში გადაყვანას ცდილობდა.**

აქედან გამომდინარე, „გარე კარნახი“ ქართველისთვის არასოდეს განიხილება უბრალო, ტექნიკურ დეტალად. იგი სასიცოცხლო საფრთხის მანიშნებელი და ისტორიული ტრავმის გამაღვიძებელი სიგნალია. ჩვენ ზედმიწევნით კარგად ვიცით ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და კონფლიქტების გარე ცენტრების მხრიდან მანიპულაციის იარაღად ქცევის მძიმე შედეგები. და როდესაც გვეუბნებიან, რომ ჩვენი პოლიტიკური ნება და მორალური ღერძი მუდმივად გარე დადასტურებას საჭიროებს, მსგავსი მიდგომა ანგრევს ნდობას დასავლური ინსტიტუტების მიმართ და აჩენს სრულიად კანონიერ ეჭვს გარე მართვის შეუნიღბავ ამბიციებზე. საუბარი თანასწორუფლებიან პარტნიორობას სრულებით სცილდება.

ეუთოს ხსენებული ანგარიშის აბსურდულობა და პარადოქსულობა პიკს აღწევს იმ პასაჟებში, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა პირდაპირ ერწყმის და თანხვედრაში მოდის კონკრეტული სისხლისსამართლებრივი საქმეების შეწყვეტისა და ცალკეული პირთა „უპირობო გათავისუფლების“ მბრძანებლურ პოლიტიკურ მითითებებთან.

**თუ კანონის უზენაესობა მართლაც ფასეულობას წარმოადგენს, მაშინ არცერთი პოლიტიკური სტატუსი, პარტიული კუთვნილება, ჟურნალისტური საქმიანობა თუ იდეოლოგიური სიმპათია არ ანიჭებს პირს სამართლებრივი ხელშეუხებლობის უფლებას. დემოკრატიის უმძიმეს დარტყმად უნდა მივიჩნიოთ გარკვეული ჯგუფების მცდელობა, საერთაშორისო ლობისტებისა და უცხოელი პოლიტიკოსების ზურგით საკუთარი თავი სამართლებრივი ველიდან გაიყვანონ და კანონზე მაღლა დააყენონ.**

იხ. 9 გვ.

# დაუვიწყარი მეცნიერი

## ქართული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის სიამაყე

## ალექსანდრე ასლანიკაშვილი — 110



**2026 წლის 17 მარტს 110 წელი სრულდება ქართველი გეოგრაფისა და კარტოგრაფის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, კარტოგრაფიის თეორიის დარგში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის ალექსანდრე ასლანიკაშვილის დაბადებიდან.**

ალ. ასლანიკაშვილმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1933 წელს ამიერკავკასიის გეოდეზიის სამმართველოს ტოპოგრაფად. 1934 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი. 1935-1939 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მესამე კურსის სტუდენტი კარტოგრაფიისა და ტოპოგრაფიის კათედრის ლაბორანტი, ხოლო შემდეგ ასისტენტი გახდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კარტოგრაფიულ განყოფილებაში მონაწილეობდა ტოპოგრაფიული რუკების შედგენა-განახლებაში. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რელიეფის კარტოგრაფიული გენერალიზაციის საკითხისათვის“, სადაც რელიეფის მაღალმხატვრულ გამოსახვაში წარმატებით გამოიყენა მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში სწავლისას მიღებული ცოდნა.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში ტერიტორიულ საკითხებზე მუშაობისას მან კარტოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლა XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი წიგნი ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (პროფ. ს.ჯიქიას თარგმანი) და შეადგინა ამ ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, სოფლის მეურნეობის კულტურების და დარგების განლაგების რუკები. 1953 წელს ქართულ ენაზე გამოიცა მის მიერ შედგენილი გურჯისტანის ვილაიეთის რუკა 1:300 000 მასშტაბში.

1947 წელს ალ.ასლანიკაშვილი მონაწილეობდა ირანიდან ქართველი ემიგრანტების რეპატრიაციის კომისიის მუშაობაში, რის შედეგად, რამდენიმე ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა.

1951 წელს მან მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა კარტოგრაფიის განყოფილებას. 1978-1979 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 1979-1981 წლებში, გარდაცვალებამდე, გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

1960-1964 წლებში გეოგრაფიის ინსტიტუტში შედგენილ იქნა და გამოიცა საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასი, რომლის შედგენას და გამოსაცემად მომზადებას ხელმძღვანელობდა ალ. ასლანიკაშვილი.

1953 წლიდან პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც კარტოგრაფიული და გეოდეზიური საგნების სწავლებას უძღვებოდა. 1955-1957 წლებში იყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1972-1981 წლებში – თსუ პროფესორი და კარტოგრაფიისა და გეოდეზიის კათედრის გამგე.

**ალ. ასლანიკაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი არეალია კარტოგრაფიის თეორიის საკითხების კვლევა, რაც აისახა მის ფუნდამენტურ ნაშრომებში: „კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები“ (1968) და Метакартография. Основные проблемы“ (1974). ამ ნაშრომებში ფუნდამენტურად არის განხილული კარტოგრაფიის საგანი, რუკის ენა, და კარტოგრაფიული მეთოდი.**

ალ. ასლანიკაშვილს საერთაშორისო აღიარება მოუტანა 1974 წელს რუსულ ენაზე გამოცემულმა „მეტაკარტოგრაფიამ“. ნაშრომში განხილული რუკის ენის სემიოტიკური ასპექტებით იგი დასახელებულია კარტოსემიოტიკის მკვლევართა პირველ სამეულში ჟ. ბერტენთან და მ. ბოჩაროვთან ერთად. 1999 წელს, იაპონელმა კარტოგრაფმა, საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა და თეორიული კარტოგრაფიის კომისიის თავმჯდომარემ, ტოსიტომო კანაკუბომ ალ. ასლანიკაშვილის ,,მეტაკარტოგრაფია“ იაპონურ ენაზე გამოსცა.

**ალ. ასლანიკაშვილი იყო პირველი საბჭოთა გეოგრაფი-კარტოგრაფი, რომელიც 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.**

ალ. ასლანიკაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა არ იფარგლებოდა გეოგრაფიით. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან თანამშრომლობით, მისი მეთოდიკით გეოგრაფიის ინსტიტუტში იქნა შედგენილი და 1982 წელს გამოიცა მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი მთვარის სხვადასხვა ფაზის 21 რუკით.

მედიკოსებთან თანამშრომლობით შედგენილი იქნა და 1989 წელს გამოიცა საქართველოს კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასი, ამ შინაარსის პირველი ატლასი საბჭოთა კავშირში.

სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ალ. ასლანიკაშვილი 1966-1975 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის კარტოგრაფიის რედაქციას, არის ენციკლოპედიის სტატიების და რუკების ავტორი.

ალ. ასლანიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში, იყო მისი სწავლული მდივანი, პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი, 1980 წლიდან საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი.

**ალ.ასლანიკაშვილი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიცოცხლე გრძელდება მეცნიერის იდეებში, ნაშრომებში, მის მიერ აღზრდილ სტუდენტებში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოება.**

საქართველოს რესპუბლიკა

## „მზე მისგან საწუნარია“

№31. ორშაბათი, 16 მარტი, 2026 წელი



## რედაქციისგან:

გამოვიდა ცნობილი დემოგრაფის და პუბლიცისტის ანზორ თოთაძის ბროშურა „უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ“, რომელიც საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევითი ცენტრის ეგიდითაა გამოცემული.

ბატონი ანზორ თოთაძე, ჩვენი გაზეთის არამარტო აქტიური და ერთგული მკითხველი, არამედ ათეული წლების განმავლობაში ერთობ სასურველი ავტორიცაა.

ახალგამოსულ ბროშურაში თავმოყრილია მსოფლიოს ცნობილი პიროვნებების აზრი ქართველთა სილამაზის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო უხსოვარი დროიდან იყო მსოფლიოს ყურადღების არეალში, ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული ბერძენი, რომაელი, სპარსელი, არაბი და ევროპელი ისტორიკოსები, მწერლები, მოგზაურები და სახელმწიფო მოღვაწენი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ საქართველოს მიმართ. ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ ძველი კოლხებისა თუ იბერიელების სიმამაცის, სიძლიერისა და სილამაზის აღსაწერად. მრავალ მათგანს წლობით მოუწია საქართველოში ცხოვრება და მოღვაწეობა, განსაკუთრებით კათოლიკე მისიონერებს, რომლებმაც საკმაოდ სქელტანიანი წიგნები მიუძღვნეს ჩვენს მხარეს, ხალხსა და მათ ტრადიციებს, ჩვენს უძველეს ყოველდღიურობას და ცხოვრების სტილს. შემორჩენილი და გამოცემულია მათ მიერ შექმნილი არამარტო ყოფითი სურათები, რუკები, მოგონებები, არამედ სახელდახელოდ შექმნილი ნახატები, რომლებმაც შემოგვინახეს ჩვენი წინაპრების იერსახე, ჩაცმულობა, საცხოვრებელი ადგილები, პეიზაჟები და ყოფითი სურათები.

ეს გამოცემა უთუოდ დააინტერესებს არამარტო ახალგაზრდობას, არამედ ნებისმიერი ასაკის ადამიანს, რათა გაითავისოს, თუ ვინ და როგორები ვიყავით ჩვენ საუკუნეების წინათ, როგორი სახელი გვქონდა მეზობელ ქვეყნებში და მაშინდელ მსოფლიოში...

# უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ

**იტალიელი მისიონერები თუ უცხოელი მოგზაურები აღტაცებულნი იყვნენ ქართველების სილამაზით, რომლებმაც მიღებული შთაბეჭდილებები თავიანთ ნაშრომებში გადმოსცეს და ქართველთა სილამაზის ამბავი ქვეყნიერებასაც გააცნეს. მაგალითად, მათი აზრით, სამეგრელოს მცხოვრებლები, მათდა საუბედუროდ, ბუნებას არაჩვეულებრივი სილამაზით დაეჯილდოვებინა, რის გამოც მათ ყველგან დაეძებდნენ.**

### ქართველი ქალები უფლებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპელ ქალებს ბევრად აღემატებიან.

**დონ კრისტოფორო დე კასტელი,** მისიონერი













ფრანგი მოგზაურის შარდენის თქმით, **„ქართველთა სისხლი ყველაზე მშვენიერია აღმოსავლეთში, და მე ვიტყოდი მთელს მსოფლიოშიც.“** მისიონერი **მილანელი** კი აღნიშნავს: **„უნდა ვაღიაროთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება იმათთვის, ვინც აქ სამისიონერო მოღვაწეობისთვის ჩამოვლენ. ქვეყანა და განსაკუთრებით კი ქალები მეტისმეტად ლამაზები არიან. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში. დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი.“** ასეთივე აზრი აქვს ქართველებზე კაპიტან **ნ. იაზიკოვს: „აზიის მთელ ამ მხარეში განთქმულები არიან თბილისელი ქალები, სიმართლე უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან სუფთები არიან და ბევრს ლამაზი სახე აქვს.“**

და სირიელ მწერალს **რიზკალა ჰასუნს („ხალხი თვალადი, ტანადი და ახოვანი, ულამაზესი კაცთა მოდგმაში.“**), ასევე მოხიბლულა ქართველი ხალხის გარეგნობით ესპანელი დიპლომატი **რუი გონსალეს დე კლავიხო**, რომელიც როგორც ელჩი, 1404 წელს ეწვია თემურ-ლენგს. მოგზაურობის დროს მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან. კლავიხო ქართველების გარეგნობის მეტად ლაკონურ დახასიათებას იძლევა: **„ქართველები კარგი აგებულების და ლამაზი სახის ხალხია“.** უცხოელი ავტორების ასეთი შეფასებები მრავლად შეგვიძლია მოვიტანოთ. სწორედ მათი მეშვეობითაც ქართველი ქალ-ვაჟების სილამაზის შესახებ ცნობები შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

მეტად საინტერესოა ამ საკითხზე შემდეგი ფაქტიც. ქართველებისა და საქართველოს არაბულ სახელწოდებებად გვხვდება ჯურჯანი, ქურჯი, ქურჯია და სხვა. ეთნონიმ ქურჯიდან არის ნაწარმოები მამაკაცისა და ქალის საკუთარი სახელები ქურჯი და ქურჯია, რომელსაც არაბები ლამაზ ბავშვებს უწოდებდნენ. მკვლევარი გ. ჯაფარიძე აღნიშნავს, „ქურჯია ქართველი ქალისა და ლამაზი ქალის მნიშვნელობით არაბული ენის სირიულ დიალექტში დაფიქსირებული აქვს ა. ბართელემის. ეს დანიშნულება ამ სიტყვებმა, ვფიქრობთ, XVI-XVIII სს-ში შეიძინა. ამ დროს საქართველოში ტყვის სყიდვამ ფართო ხასიათი მიიღო. ქართველი ტყვეებით მარაგდებოდა ახლო აღმოსავლეთის მონათა ბაზრები. მათი ეთნიკური სახელი ლამაზი ბავშვის სინონიმად იქცა.“ იყიდებოდა, რა თქმა უნდა, „რჩეული საქონელი“, ლამაზი გოგო-ბიჭები.

მათი ეთნიკური სახელი ლამაზი ბავშვის სინონიმად იქცა“. მეტად საგულისხმოა 1932 წელს მომხდარი შემდეგი ფაქტიც, რომელიც მკვლევარს მოჰყავს: „ერთი თურქის ოჯახში, სადაც კვლავ გოგონა გაჩნდა, გამწარებული და აღრენილი მამა ბებიაქალს ასე დაუმშვიდებია: „უნდა გიხაროდეს, შეხედე ნამდვილი გურჯი შეგეძინაო“. ცნობილია რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის აზრიც ქართველების შესახებ: **რამდენადაც ვიცი, ჩაი მოითხოვს კოლონიურ შრომას და მე არ მსურს, ისეთი შესანიშნავი ერი, როგორიც ქართველია, გადაგვარდეს.**

საქართველოს შუა საუკუნეებში ბევრი მისიონერი და მოგზაური ესტუმრა. მათ თავიანთი შთაბეჭდილებები ნაშრომების სახით დაგვიტოვეს საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების, ხალხის ადათ-წესების, ეთნოგრაფიული ყოფის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ. ამავე დროს, ისინი გვერდს ვერ უვლიან ქართველი ხალხის გარეგნულ სილამაზეს.

## დონ კრისტოფორო დე კასტელი – სამეგრელოს ნახატები


როსტომ მეფის მეუღლე, დედოფალი მარიამი


კოლხეთის დედოფლის მამა პაპუნა ჭილაძე


ლევან დადიანის ყოფილი მეუღლე დარეჯან შარაშია


სამეგრელოს მთავარი ვამიყ ლიპარტიანი


ბაზრობა ეკლესიასთან



მისიონერების საქმიანობა სამეგრელოს რეზიდენციაში



იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის შერიგება

* * *

მე-17 საუკუნეში ფართოვდება მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში, რაც კათოლიკური რომის ინტერესის გაზრდამ გამოიწვია. ცნობილმა იტალიელმა მისიონერმა **არქანჯელო ლამბერტიმ** ორი ნაშრომი დაგვიტოვა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ, როგორც თვითონ ამბობს, საქართველოში მისიონერად იყო 20 წელი, 1633-1653 წლებში. პირველი წიგნი დაბეჭდილია რომში 1654 წელს, ხოლო მეორე 2 წლის შემდეგ, 1657 წელს ნეაპოლში. ორივე წიგნი თარგმნილია ქართულ ენაზე.

### დონ არქანჯელო ლამბერტი.

## „სამეგრელოს აღწერა“

მეგრელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ სილამაზეს. დონ არქანჯელო ლამბერტი წერს: **„ჩვენს ევროპაში როცა ცოლს ირთავენ უმთავრეს საგნად აქვთ მზითევის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნოობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორეს მხრივ არის კარგი და მდიდრული მზითევი. საზოგადოდ ჰფიქრობენ, რომ ყოველსავე ნაკლულევანებას დაჰფარავს ოქრო და ვერცხლიო. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იმდაბლებენ, ყმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითვი ქმრისათვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას.“**

**„იმერლები ტანადაც კარგი მოყვანილნი არიან, სახითაც მშვენიერები, და მათ პირისახეზე გამოიხატება ისეთი დიდებულება და მამაცობა, თითქოს მთელი ქვეყნის დამორჩილება უნდათო“. გვ.86.**

### არქანჯელო ლამბერტი.

## „წმინდა კოლხეთი“

**„ქართველები ულამაზესი გარეგნობის ხალხია.“**

**„ქართველები ქრისტიანი და კეთილი ბუნების ხალხია.“**

**„პონტოს ზღვისპირა მხარეებიდან, ამდენ სასტიკ და ველურ ხალხს შორის, სწორედ კოლხეთი გამოირჩეოდა თავისი წესიერებით.“**

* * *

**დონ არქანჯელო ლამბერტისთან** ერთად მისიონერი **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი** ჩამოვიდა ქართლში. გარკვეულ ხანს გორში ცხოვრობდა.

ქართლში მუსულმანი როსტომის გამეფების შემდეგ, როგორც ჩანს, მისიონერები კარგად ვერ მიიღეს, ამიტომ მათ სამისიონერო მოღვაწეობა სამეგრელოში გააგრძელეს. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელმა მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები დაგვიტოვა ძირითადად მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოზე.

### დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი.

## „წერილები საქართველოზე“

**„უნდა ვაღიარო ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება იმათთვის, ვინც აქ სამისიონერო მოღვაწეობისთვის ჩამოვიდნენ. ქვეყანა და განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად ლამაზებია. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში დიდი თავშეკავებაა საჭირო რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი.“**

* * *

შუა საუკუნეებში საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ბევრმა წარმომადგენელმა იმოგზაურა, მაგრამ ვინც წერილობით დაგვიტოვა თავისი შთაბეჭდილებები ქართველი ხალხის შესახებ, ცნობილი ფრანგი მოგზაური **ჟან შარდენი** (1643-1713) გამორჩეულია. იგი 1672 წელს ჩამოვიდა საქართველოში და თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ჟან შარდენმა ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი მრავალი ფაქტი და მოვლენა.

### ჟან შარდენის

## „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“

### (ცნობები საქართველოს შესახებ).

**„ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არცერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი. ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთ სინატიფით დაუჯილდოებია, როგორისაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწვრილი.“** საინტერესოა პარალელის გატარება ჟან შარდენსა და საქართველოს მეფე არჩილ II-ს (1647-1713) შორის. ისინი თითქმის ერთ პერიოდში ცხოვრობდნენ. მეფე არჩილი წერს: **„გლეხ იყვნენ, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნენ.“** ჟან შარდენი კი აღნიშნავს: **„ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან.“**

**შარდენი განსაკუთრებით მოხიბლულია მეგრელებითა და იმერლებით. „მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია; კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფიალს ითხოვენ.“**

**„ქალი მეტად ლამაზი და ტანკენარი იყო, მე ბევრი ლამაზი ქალი ვნახე ამ ქვეყანაში, მაგრამ მისი მსგავსი სილამაზისა არავინ მინახავს. მას, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღვოდა იმ გრძნობების აღძვრაში, რომელსაც იგი მნახველში იწვევდა, მისი ვნებიანი, ნაზი, მიბნედილი თვალები თითქოს მოითხოვდნენ კიდეც ტრფიალს და იმედსაც გაძლევდნენ. ერთი სიტყვით, მისი გარეგნობა და ლაპარაკი ყველას იზიდავდა.“**

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

„დემოგრაფიული ორმო“

# პასიურობა თვითმკვლელობის ტოლფასია

(მესამე გვერდიდან)

**სხვა სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ალბათ, ამის ბრალიცაა, საგანგაშო ნიშნულს რომ აღწევს განქორწინების მაჩვენებელი და ინგრევა რის ვაი-ვაიგლახით შეკოწიწებული ოჯახები. თუ საბჭოთა ეპოქაში ხასიათების შეუთავსებლობით ხსნიდნენ განქორწინების აუცილებლობას, დღევანდელ პირობებში ფართო არჩევანის შესაძლებლობა ეძლევათ ანტაგონისტურად განწყობილ წყვილებს, რაც დემოკრატიის მონაპოვრად ითვლება ლიბერალიზმით შთაგონებულ საზოგადოებაში.**



იმ გულქვა ჩინოვნიკების გვერდით, რომლებიც საბჭოთა ეპოქაშიც არსებობდნენ და არც დღეს განვიცდით მათ ნაკლებობას, საბედნიეროდ არსებობდნენ გულმხურვალე პატრიოტები, ვისთვისაც ერის გამრავლებისთვის ზრუნვა პრიორიტეტულ მიმართულებად იყო მიჩნეული. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულების მკაფიო მაგალითია სულკურთხეული **ჟიული შარტავა,** თხემით ტერფამდე ქართველი მამულიშვილი. გულღრძო შურისმაძიებლების მიერ მოკვეთილი და რუსთავის ქალაქკომის პირველი მდივნის პოზიციაზე იძულებით დანიშნული ჟიული შარტავა, მრავალშვილიან ოჯახებში დადიოდა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის თანხლებით, ადგილზე ეცნობოდა არსებულ ვითარებას და ყველა შესაძლო გზით ცდილობდა მათ ფინანსურ დახმარებას.

ეროვნული სულისკვეთების მწერალმა **კონსტანტინე გამსახურდიამ** 1926 წელს, მწერალთა კავშირის ყრილობაზე განაცხადა, ფანტასტიკური რომანის დაწერას ვაპირებ „საქართველო ხუთი ათასი წლის შემდეგ“, სადაც საქართველო გამოყვანილი იქნება, როგორც ყველაზე ლამაზი, ყველაზე მდიდარი და ყველაზე მშვენიერიო! ვერ გეტყვით, რამ შეუშალა ხელი, თუმცა, მწერალმა დაპირება რომ ვერ შეასრულა, ფაქტია, მართალია, ამის თაობაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ უპრიანი იქნებოდა, 50 საუკუნის შემდგომი საქართველოს მოსახლეობა 50 მილიონი ყოფილიყო და ამ აურაცხელ ქართველს სიამტკბილობაში ეცხოვრა ეკონომიკურად წელგამართულ სახელმწიფოში!

მისი უფროსი კოლეგისგან განსხვავებით, მოსახლეობის რიცხოვნებასთან დაკავშირებით, გაცილებით თავშეკავებული იყო პოეტი **მურმან ლებანიძე,** რომელსაც მოკრძალებული სურვილი 1972 წელს დაწერილ ლექსში აქვს დაფიქსირებული:

**„მინდოდა ქართველი თორმეტი მილიონი,**
**სულ ათი – თორმეტი მინდოდა მენახა –**
**არაგვის სიარაგვე, რიონის სირიონე**
**და მიწა გაშლილი მსოფლიო ვენახად“...**

ოცნებას იმიტომ ჰქვია ოცნება, ფიქრს თუ გაჰყვა კაცი, ერთი საგანი ოცნაირად მოეჩვენებაო, წერდა აკაკი წერეთელი. მოგეხსენებათ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მით უფრო „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში. ამიტომ შეგვიძლია, ფანტაზიას გასაქანი მივცეთ, მაგრამ როგორ გავხდებით 10-12 ანდა, 5-6 მილიონი, როცა გამრავლების მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალია!

არანაკლებად მწვავე პრობლემაა მზარდი ემიგრაცია, ასევე მზარდი მიგრაციის ფონზე – ქვეყნიდან გადიან რეპროდუქციული ასაკის ახალგაზრდა ქალ-ვაჟები და შემოდიან უცხოელები, რომლებიც გამარტივებული წესით ღებულობენ ბინადრობის უფლებას, რაც ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილის ბედოვლათობა-გულარხეინობასაც უნდა მივაწეროთ, ხელისუფლების ლიბერალურ პოლიტიკასთან ერთად.

პარლამენტში სტუმრობამდე რამდენიმე კვირით ადრე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გააკეთა კომენტარი, რომელიც არ ყოფილა სათანადოდ არგუმენტირებული: ბოლო ოთხ წელიწადში 60 ათასმა უცხოელმა შეიძინა ბინები საქართველოში, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია დემოგრაფიულ მდგომარეობაზეო! ბატონი კობახიძე ახალგაზრდა კაცია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და 20-25 წლის შემდეგ ნახავს, როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია უკონტროლო მიგრაციას დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, თუკი მანამდე ქმედითი ღონისძიებები არ იქნა გატარებული, კანონმდებლობის გამკაცრების თვალსაზრისით.

არ დამეზარება და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ხელისუფლებამ, თუკი ის სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ უმწვავესი პრობლემის გადაჭრით, კეთილი ინებოს და მოუსმინოს სპეციალისტებს, რომელთა კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. გასული წლის მაისში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა პარტია **„ხალხის ძალის“** წევრის, პოლიტოლოგისა და დემოგრაფიის საკითხების ექსპერტის **თამარ ჩიბურდანიძის** ფუნდამენტური კვლევა, რომელმაც შეუძლებელია, არ შეძრას სულიერად სამშობლოს ბედზე მოფიქრალი ადამიანი. „შობადობამ საგრძნობლად იკლო ქვეყანაში და ჩვენ უკვე მძიმე უარყოფით ბალანსში ვართ, რაც მომდევნო 10 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მდგომარეობას სპეციალისტები დემოგრაფიულ ორმოს უწოდებენ“-ო, წერდა კვლევის ავტორი.

**როგორც ვხედავთ, კატასტროფამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი და თუ დროზე არ მოვეგებით გონს, დემოგრაფიული ორმოდან დემოგრაფიულ უფსკრულში აღმოვჩნდებით, რადგან პასიურობა თვითმკვლელობის ტოლფასია!**



**თეიმურაზ ჯანელიძე**



## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!



ნიკოლოზ კუზნეცოვი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი

**მე და იოსებ სტალინი გვერდიგვერდ ვისხედით და პაუზებით ვლაპარაკობდით. თარჯიმნები პოზეროვი და ლალუა საუბრის კვალობაზე რევლიკებს სიტყვასიტყვით თარგმნიდნენ. საუბარი ეხებოდა სამხედრო მოქმედებებს, ცხოვრებისეულ მომენტებს ჩვენი მოვალეობების შესრულების დროს, ჩვენს შეფასებებს მტრებისა თუ მოკავშირეების თაობაზე. ხელშეკრულებაზე არაფერს არ ვამბობდით.**

მართალია, მარშალმა გულგრილად ერთხელ კი მკითხა, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე „ლიუბლინის კომიტეტის“ წევრებთან შეხვედრამო, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ მათ მართლაც შეუძლიათ საქმის გაკეთება, მაგრამ არანაირად არ გამოხატავენ თავისუფალი პოლონელი ხალხის იმედებს და მოლოდინებს-მეთქი. იოსებ სტალინი პირდაპირ და იმავდროულად, უბრალოდ ლაპარაკობდა. იგი ცდილობდა ჩვეულებრივი ადამიანივით ესაუბრა ჩემთან, თანაც ისე, რომ თითქოს ბევრი რამ არ ესმის, ან თავს განგებ უცოდინრად მაჩვენებდა. სტალინი ბევრს მიირთმევდა და ღვინოს ზედიზედ სვამდა, თუმცა სასმელის მოქმედება არ ეტყობოდა. გულკეთილობისა და უწყინარობის ნიღბის მიღმა დაუღალავი და ულმობელი მებრძოლი ჩანდა. რუსები, რომლებიც მაგიდის ირგვლივ ისხდნენ, დაძაბულები იყვნენ და ბელადს თვალს ადევნებდნენ. მათ მზერაში მორჩილება და შიში იგრძნობოდა სტალინის ძალაუფლების მიმართ. ასეთად დავინახე საბჭოთა მთავრობის წევრების დამოკიდებულება თავიანთი ხელმძღვანელის მიმართ, რომელიც ადამიანური თვალსაზრისით, მარტოდმარტო იყო დარჩენილი.

უეცრად სურათი შეიცვალა: დადგა სადღეგრძელოების დრო. სტალინმა საოცარი სცენების გათამაშება დაიწყო. პირველ რიგში მან თბილი სიტყვები წარმოთქვა საფრანგეთზე და ძალიან თავაზიანი — ჩემ მიმართ. მე იგივენაირად ვუპასუხე მისი და რუსეთის მისამართით. შემდეგ სტალინი სადღეგრძელოთი მიესალმა შეერთებულ შტატებს და პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს, შემდეგ — ინგლისს და პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს, სერიოზული სახით უსმენდა ავარელ ჰარიმანისა და ჯონ ბალფურის საპასუხო სადღეგრძელოებს. მარშალმა პატივისცემა გამოხატა როგორც ჟორჟ ბიდოსა და ალფონს ჟუენის, აგრეთვე ყოველი იქ მყოფი ფრანგის მიმართ, ადღეგრძელა ავიაპოლკ „ნორმანდია-ნემანის“ მფრინავები. ყველა ამ ფორმალობების შემდეგ, იოსებ სტალინი მთავარი თეატრალიზებული მოქმედების შესრულებას შეუდგა.

სტალინი 30-ჯერ წამოდგა ფეხზე და ისე შესვა სადილზე მიწვეული რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების სადღეგრძელო. 30-ჯერ! თითოეულის — ვიაჩესლავ მოლოტოვის, ლავრენტი ბერიას, ნიკოლოზ ბულგანინის, კლიმენტ ვოროშილოვის, ანასტას მიქოიანის, ლაზარ კაგანოვიჩის და სხვათა პატივსაცემად! სახალხო კომისრები პირველები იყვნენ, რომლებსაც მარშალმა მიმართა. როგორც გავიგე, სტალინს ისინი **„პატრონს“** უწოდებდნენ. შემდეგ იგი გადავიდა გენერლებზე და ჩინოვნიკებზე. ახასიათებდა რა თითოეულ მათგანს, იოსებ სტალინი პათოსით ლაპარაკობდა მათ თანამდებობებზე და დამსახურებაზე. იმავდროულად იგი მუდმივად ხაზს უსვამდა რუსეთის დიდებულებასა და ძლევამოსილებას.

აი, რა თქვა, მაგალითად, სტალინმა არტილერიის მარშლის ნიკოლოზ ვორონოვის მიმართ: **„ვორონოვ! თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ! ჯანმრთელობას გისურვებთ! თქვენ ხომ პასუხს აგებთ ბრძოლის ველზე ჩვენი საარტილერიო დანადგარების გაშლა-განლაგებაზე. სწორედ ჩვენს არტილერიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მტერს მთელი სიგრძე-სიგანით ვანადგურებთ ფრონტის ხაზზე. მიდით, უფრო თამამად დასცხეთ მტერს თქვენი ძლიერი ქვემეხებით!“.**

მიმართა რა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს ნიკოლოზ კუზნეცოვს, სტალინმა წარმოთქვა: **„ადმირალო კუზნეცოვ! ყველამ არ იცის, თუ რა შეუძლია ჩვენს ძლევამოსილ ფლოტს თქვენი ხელმძღვანელობით. მოითმინონ და გაიგებენ! ერთხელაც მოვა დრო და ჩვენ ყველა ზღვაზე გავბატონდებით!“.**

მიაპყრო რა მზერა ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე იაკოვლევს, რომელმაც საუკეთესო ავიაგამანადგურებელი **„იაკი“** შექმნა, მარშალმა მიმართა: **„მოგესალმებით! თქვენი ძლიერი თვითმფრინავები ცას სერავენ, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი და უფრო უკეთესები გვინდა! თქვენ ყოველთვის ასეთები უნდა გააკეთოთ!“.**

ზოგჯერ სტალინი ქება-დიდებაში მუქარასაც გაურევდა ხოლმე. მან ალექსანდრე ნოვიკოვის — წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის სადღეგრძელო ასეთი სახით წარმოთქვა: **„თქვენ პრაქტიკულად, საქმეში იყენებთ ჩვენს თვითმფრინავებს. თუ თქვენ მათ ცუდად გამოიყენებთ, ხომ იცით, რაც გელოდებათ!“.** შეხედა რა სტალინმა ერთ-ერთ თავის ჩინოვნიკს, თქვა: **„აი, ისიც — ზურგის უფროსი. მისი ამოცანაა ფრონტზე ტექნიკა და ადამიანები მიიყვანოს. შეეცადეთ, უფრო მეტი გააკეთოთ, ვიდრე ახლა აკეთებთ, თორემ ხომ იცით, ჩვენთან როგორ ვექცევით ჩამორჩენილებს!“.**

ყოველი სადღეგრძელოს დასრულებისას იოსებ სტალინი თავისთან იხმობდა იმ პირებს, ვის მიმართაც სადღეგრძელოს ამბობდა: „ბოკალი აიღეთ და აქ მოდით“. რასაკვირველია, სუფრის წევრი სწრაფად



დე გოლი და არტილერიის მარშალი ნიკოლოზ ვორონოვი

დგებოდა და სწრაფი გამართული ნაბიჯით მიდიოდა სტალინთან, მარშალი კი მას ბოკალს უჭახუნებდა.

ცხადია, ასეთი სცენა იმიტომ იქნა გათამაშებული, რომ სტალინს სურდა შთაბეჭდილება მოეხდინა საფრანგეთის დელეგაციაზე, რათა ეჩვენებინა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, ასევე თავისი ძალაუფლებაც. ვხედავდი რა მე ამ ყველაფერს, სულ უფრო ვრწმუნდებოდი იმაში, რომ პოლონეთის მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობა არ უნდა მიმეღო.

სადილის შემდეგ გამართული შეხვედრის დროს მე გულგრილად ვუყურებდი ჩემსა და სტალინის ირგვლივ მჯდარ დიპლომატებს, ერთი მხრივ — მოლოტოვს, დეკანოზოვს* და ბოგომოლოვს, მეორე მხრივ — ბიდოს, გაროს და დეჟანს. რუსებმა ისევ დაიწყეს ჩვენს მიერ **„ლიუბლინის კომიტეტის“** აღიარებაზე ლაპარაკი, მაგრამ რადგანაც ჩემთვის ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, მივანიშნე, რომ მორიგი დისკუსია პოლონეთზე უაზრობა იქნებოდა. უფრო მეტიც — ვიცოდი რა დიპლომატიის ოსტატების ხრიკები მოლაპარაკების დროს, ვიფიქრე, ვაითუ ჩვენი დელეგაციის წევრებმა რაიმე შეცდომა დაუშვან-მეთქი.

ამიტომაც მე სპეციალურად მივიღე ისეთი გამომეტყველება, რომ დაინტერესებული არ ვიყავი ამ არეოპაგის მიერ გამართული მოლაპარაკებით. ამას რომ ხედავდა, სტალინმა ხმას აუწია და თითქოსდა ხუმრობით თქვა: **„ოჰ, ეს დიპლომატები როგორი ყბედები არიან! მათ გასაჩუმებლად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს — ყველა უნდა ჩაცხრილო... ბულგანინ, მომიტანე ტყვიამფრქვევი!“.** შემდეგ მან მოლაპარაკებლები მიატოვა და მეზობელ დარბაზში გამიყვანა საბჭოთა პროპაგანდისტული ფილმის **(„ხვალ თუ ომი იქნება...“)** საყურებლად, რომელიც 1938 წელს იყო გადაღებული. კინოსურათი საკმაოდ გულუბრყვილო და მიამიტური იყო, რომლის მიხედვით, გერმანია თავს ესხმის საბჭოთა კავშირს, მაგრამ წითელი არმია მამაცურად იბრძვის, საბჭოთა მოსახლეობა მობილიზებულია და ბოლოს, გერმანელები უკან იხევენ. თვით გერმანიაში ხდება რევოლუცია და ფაშიზმის ნანგრევებზე, სსრ კავშირის მხარდაჭერით, ახალი ერა იწყება — მშვიდობისა და აყვავების ერა.

სტალინი იცინოდა და ტაშს უკრავდა. **„ვშიშობ, რომ ამ ფილმის დასასრული ბატონ დე გოლს არ მოეწონება“,** — თქვა ჩემს გასაგონად და შემომხედა. მე ოდნავ გაღიზიანებულმა ვუპასუხე: **„თქვენი გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში მომეწონება. გარდა ამისა, შევნიშნავ, რომ თქვენს და გერმანელებს შორის ნამდვილი ომის დაწყების დროს ყველაფერი ისე არ მომხდარა, როგორც ამ ფილმშია ნაჩვენები“.**

(შესვენების დროს) ვესაუბრე ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს ჟორჟ ბიდოს და ვკითხე, მზად არიან თუ არა საბჭოელები ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. მინისტრმა მითხრა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს თანხმობაზე — გაკეთდება თუ არა საფრანგეთის მთავრობასა და პოლონური კომიტეტის ერთობლივი განცხადება და მასზე ხელმოწერა, რომელიც საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების დადების შესახებ კომუნიკესთან ერთად გამოქვეყნდება. **„მაშინ, ასეთ სიტუაციაში,** — ვუთხარი მე ჟორჟ ბიდოს, — **უსარგებლო და უხერხულია უსასრულოდ გაჭიანურდეს მოლაპარაკებები. მე იძულებული ვხდები, შეხვედრები შევწყვიტო“.** როცა ფილმის ჩვენება დასრულდა და შუქი აინთო, იოსებ სტალინს ვუთხარი: **„მე თქვენ გტოვებთ. დაუყონებლივ მივდივარ მატარებლით. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა თქვენ და საბჭოთა მთავრობას იმისთვის, რომ ასეთი დიდი მასპინძლობა გაგვიწიეთ თქვენს გმირულ ქვეყანაში. ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ პოზიციები და შევთანხმდით მთავარზე — საფრანგეთი და რუსეთი ომს ერთად გააგრძელებენ სრულ გამარჯვებამდე. ნახვამდის, ბატონო მარშალო!“**

ისე ჩანდა, რომ სტალინმა ჩემი ნათქვამის არსი ვერ გაიგო. **„დარჩით,** — მითხრა მან, **— ახლა სხვა ფილმსაც გაჩვენებთ“.** მაგრამ მე უკვე ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად და მანაც მექანიკურად ჩამომართვა, ყველას დავემშვიდობე და კარისაკენ გავემართე. ვამჩნევდი, რომ იქ მყოფებს გაოგნებული სახე ჰქონდათ.

ფერწასულმა მოლოტოვმა მანქანამდე მიგვაცილა. მე მასაც მადლობა ვუთხარი და ვთქვი, რომ კმაყოფილი ვიყავი რუსეთში ყოფნით. სახკომმა რაღაც გაუგებრად ჩაილაპარაკა, იგი არ ცდილობდა თავისი შეშფოთება დაემალა. უეჭველია, საბჭოთა მინისტრი ღრმად იყო ნაწყენი იმ ჩანაფიქრის შეუსრულებლობით, რომლის რეალიზებას ცდილობდა. ახლა მას ტაქტიკის შესაცვლელად ძალზე ცოტა დრო რჩებოდა — ჩვენ უკვე პარიზში დაბრუნებას ვაპირებდით. მოსკოვმა ვერ შეძლო ჩვენი მხრიდან **„ლიუბლინის კომიტეტის“** აღიარების მიღწევა. იყო ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ საფრანგეთის დელეგაცია სამშობლოში ხელშეკრულების დადების გარეშე წავიდოდა. როგორი შედეგები მოჰყვებოდა ამ ყველაფერს? იქნებ სტალინს მოლოტოვი დაედანაშაულებინა წარუმატებლობაში? მე კი მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე და საელჩოში მშვიდად ვბრუნდებოდი. შევამჩნიე, რომ ჟორჟ ბიდო ჩემს გვერდით არ იყო და დავუძახე, რომ ისიც წამოსულიყო. ზრდილობის გულისთვის გარო და დეჟანი კრემლში დავტოვე, რომ მასპინძლებთან არაფრის მთქმელი საუბარი გაეგრძელებინათ.

სულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ჩემი ნაბიჯი შედეგს გამოიღებდა. მართლაცდა, ღამის ორ საათზე საელჩოში მორის დეჟანი მოვიდა და ახალი პირობები მომახსენა. თურმე სტალინთან მოლოტოვის ხანგრ-



**ვლადიმერ დეკანოზოვი (დეკანოზიშვილი) — საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და უშიშროების სამსახურების მოღვაწე, დიპლომატი. ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისრის, გენერალ-ლეიტენანტის და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდებები. დაიბადა 1898 წლის 15 ივნისს ბაქოს გუბერნიაში. 1916 წელს დაამთავრა ტფილისის პირველი გიმნაზია, სწავლობდა სარატოვისა და ბაქოს უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე. 1919 წლის ივნისიდან იყო აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რაზმის უფროსი. 1920 წელს ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა და ლავრენტი ბერიას დაუახლოვდა. მოგვიანებით მუშაობდა აზერბაიჯანისა და საქართველოს სსრ-ების საგანგებო კომისიებში („ჩეკა“) და შინსახკომის სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1940 წლის 24 ნოემბერს დაინიშნა საბჭოთა კავშირის ელჩად გერმანიაში. 1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 სთ-ზე, რაიხსმინისტრმა იოახიმ ფონ დერ რიბენტროპმა მას გადასცა ნოტა გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შესახებ. გერმანიის მთავრობამ მოახდინა ვლადიმერ დეკანოზოვის და საელჩოს პერსონალის ინტერნირება და შემდეგ, საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე, ლენინაკანთან ახლოს, ისინი მოსკოვში დაკავებულ გერმანელ ელჩზე (ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგზე) და სხვა დიპლომატებზე გაცვალა. დეკანოზოვმა მუშაობა გააგრძელა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. ომის შემდეგ იგი მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. რეპრესირებული იქნა ლავრენტი ბერიას საქმესთან დაკავშირებით: დახვრიტეს 1953 წლის 23 დეკემბერს.**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ 2026 წელი №26-30

ძლიერი საუბრის შემდეგ რუსებს გაროსა და დეჟანისთვის უთქვამთ, რომ „ლიუბლინის კომიტეტთან“ დაკავშირებით ისინი თანახმანი იყვნენ ხელმოწერილიყო ნეიტრალური ფრანგულ-პოლონური ერთობლივი განცხადება. ამ დროს გაროსა და დეჟანისთვის შეუთავაზებიათ ტექსტის ასეთი რედაქცია: „საფრანგეთის მთავრობისა და პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტის შეთანხმებით, ქრისტიან ფუშე იგზავნება ლიუბლინში, ხოლო თავის მხრივ (პოლონელი) იგზავნება პარიზში“. ვიაჩესლავ მოლოტოვს უთქვამს, რომ „თუ გენერალი დე გოლი „პოლონურ საკითხთან“ დაკავშირებით ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულება დაუყონებლივ იქნება ხელმოწერილი“.

მე, ცხადია, უარი ვთქვი „საფრანგეთის მთავრობასა და პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტს შორის შეთანხმების“ ყოველგვარ მოხსენიებაზე და მორის დეჟანს ვუთხარი, რომ ტექსტი უნდა ჩამოყალიბდეს ასე: „საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებით მაიორი ქრისტიან ფუშე გაიგზავნება ლიუბლინში პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტთან“. დეჟანმა მოლოტოვს აცნობა, მოლოტოვი კი ისევ სტალინს ესაუბრა და ბოლოს გვაცნობა, რომ თანახმაა ჩვენს წინადადებაზე. თუმცა იგი ჯიუტობდა და გვეუბნებოდა, რომ ეს ინფორმაცია საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების დადების შესახებ ინფორმაციასთან ერთად უნდა გამოქვეყნდესო. მე სწორედ თარიღების დამთხვევა არ მსურდა და კატეგორიულად განვაცხადე კიდეც. ვთქვი, რომ ქრისტიან ფუშეს გალიციაში ჩასვლის ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო არა უადრეს 28 დეკემბრისა. საბოლოოდ ამაზეც შევთანხმდით.



ალექსანდრე იაკოვლევი, ავიაკონსტრუქტორი

უკვე 10 დეკემბრის დილა დგებოდა, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღე. ჟორჟ ბიდო კრემლში წავიდა ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის მოსამზადებლად და ჩვენს რუს პარტნიორებთან შესათანხმებლად. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა ომი სრულ გამარჯვებამდე გაეგრძელებინათ, არ დაედოთ სეპარატული ზავი გერმანიასთან და შემდეგ ერთობლივად შეემუშავებინათ ზომები გერმანიის მხრიდან ახალი საფრთხეების გაჩენის თავიდან ასაცილებლად. ასევე ნაჩვენები იყო, რომ ორივე მხარე მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაში. ხელშეკრულების მოქმედების ვადად 20 წელი განისაზღვრა, მისი შემდგომი გაგრძელებით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.



**სიმონ კილაძე.**

**(გაგრძელება იქნება)**

# ქართველთა მორალური განიარაღების ვერაგული მცდელობა!




**ასეთი მიდგომა ნებაყოფლობითი დანებების გზას წარმოადგენს. სახელმწიფო და ერი, რომელიც მორალურად ტყდება და თმობს საკუთარი წესების, იდენტობის დაცვის ინტელექტუალურ და სულიერ სიმამაცეს, უბრალო, უსახო ადმინისტრაციულ ერთეულად იქცევა. მას რჩება ჰიმნი, დროშა და ტერიტორია, მაგრამ სამუდამოდ კარგავს ისტორიულ ნებას და სუვერენულ შინაარსს. საქართველომ მსგავსი თვითმკვლელი გზა არ უნდა გაიაროს!**

(მეხუთე გვერდიდან)

მართლმსაჯულება აუცილებლად უნდა იყოს სამართლიანი, პროცესები კი — გამჭვირვალე. მაგრამ მსგავსი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ პოლიტიკური მოთამაშე ან მედიამენეჯერი აპრიორული სამართლებრივი იმუნიტეტის მატარებლად გამოცხადდეს. თუ უარს ვიტყვით კანონის უზენაესობის პრინციპზე, სამართალი ობიექტური ინსტრუმენტიდან გარე ძალებით მართულ პოლიტიკური პრივილეგიის მანკიერ მექანიზმად გადაიქცევა.

თანამედროვე პოლიტიკური კულტურის კიდევ ერთ უაღრესად პრობლემურ დამახინჯებას ქუჩის პროტესტისა და რადიკალური გამოსვლების რომანტიზაცია წარმოადგენს. ასეთ ქმედებებს ავტომატურად ანიჭებენ „ხალხის ნამდვილი ნების“ სტატუსს, სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ნებისმიერ მცდელობას კი წინასწარ აცხადებენ დიქტატურად და რეპრესიად. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება უზენაეს უფლებას წარმოადგენს და დავას არ ექვემდებარება. თუმცა აღნიშნული უფლება სახელმწიფოს პარალიზების, ინსტიტუციური წესრიგის რღვევისა და ძალადობრივი არეულობის გამართლებას არანაირად არ გულისხმობს.

**კლასიკური განმარტებით სახელმწიფოს გააჩნია ძალის გამოყენების ლეგიტიმური მონოპოლია წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად. პოლიციის კონკრეტული ქმედება სავსებით დასაშვებია გახდეს კრიტიკის, გამოძიებისა და შეფასების საგანი. თავად სახელმწიფოსთვის თვითდაცვისა და წესრიგის უზრუნველყოფის უფლების ჩამორთმევა მისი სრული მორალური და სახელმწიფოებრივი ჩამოშლის ტოლფასია. მსგავსი ანგარიშები ხშირად ზუსტად ამ მიზანს ემსახურება. ვერცერთი საერთაშორისო ტექსტი ვერ დაარღვევს იმ ოქროს ბალანსს, სადაც საჯარო უსაფრთხოება და სახელმწიფოს მდგრადობა პროტესტის უფლების თანაბარ სავირწონედ მოიაზრება.**

დღევანდელ რეალობაში დამოუკიდებლობის რღვევა ყოველთვის ტერიტორიების ოკუპაციით ან სამხედრო ჩარევით არ მიმდინარეობს. მსგავსი პროცესი ბევრად უფრო დახვეწილი, ვერაგული მეთოდით და მორალური განიარაღებით ხორციელდება.

მიზანმიმართული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზეწოლით პატარა სახელმწიფოს საზოგადოებას თანდათან აჩვევენ დამღუპველ აზრს ეროვნული ინსტინქტების საეჭვოობის შესახებ. ისტორიულ მეხსიერებას ზედმეტ ტვირთად წარმოაჩენენ, ტრადიციულ ღირებულებებს დასაბუთებას მოკლებულ სიბნელედ ნათლავენ, კანონებს კი წინასწარ დისკრედიტებულ და თანამედროვე სტანდარტებისთვის შეუსაბამო წესრიგად ასაღებენ. ადგილობრივ მოსახლეობას უნერგავენ კომპლექსს, თითქოს **ეროვნული მორალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება მისაღებად, თუ იგი მილიმეტრიანი სიზუსტით ემთხვევა ზეეროვნულ მითითებებს.**

**ასეთი მიდგომა ნებაყოფლობითი დანებების გზას წარმოადგენს. სახელმწიფო და ერი, რომელიც მორალურად ტყდება და თმობს საკუთარი წესების, იდენტობის დაცვის ინტელექტუალურ და სულიერ სიმამაცეს, უბრალო, უსახო ადმინისტრაციულ ერთეულად იქცევა. მას რჩება ჰიმნი, დროშა და ტერიტორია, მაგრამ სამუდამოდ კარგავს ისტორიულ ნებას და სუვერენულ შინაარსს. საქართველომ მსგავსი თვითმკვლელი გზა არ უნდა გაიაროს.**

დღეს მთავარი და ფუნდამენტური კითხვა რომელიმე კონკრეტული კანონის ან პოლიტიკური ფიგურის მოწონება-არმოწონებას სრულებითაც არ უკავშირდება. საკითხი ბევრად უფრო გლობალურ და სიღრმისეულ განზომილებას იძენს. კერძოდ, ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს სახელით და საქართველოს ტერიტორიაზე.

თუ პასუხად ქართველ ხალხს, მის დემოკრატიულად არჩეულ, კონსტიტუციურ ინსტიტუტებს და ლეგიტიმურ სახელმწიფოს დავასახელებთ, მაშინ ნებისმიერი საერთაშორისო დოკუმენტი, ანგარიში თუ რეკომენდაცია სწორედ ამ ურყევი პრინციპის პატივისცემის ფარგლებში უნდა თავსდებოდეს.

განსხვავებული პასუხის შემთხვევაში ფარისევლობას თავი უნდა დავანებოთ და სიმართლე პირდაპირ ვთქვათ. ასეთ ვითარებაში სრულფასოვან სუვერენიტეტზე საუბარი ზედმეტია. ჩვენ წინაშეა შეზღუდული, გარედან სანქცირებული და ნებადართული ფსევდოსახელმწიფოებრიობა.




სწორედ ამიტომ, დღეს ჩვენი დასაცავი ობიექტი რომელიმე პარტია, მთავრობა ან მოქმედი პროცედურა ნამდვილად არ გახლავთ. ჩვენ უნდა დავიცვათ თავად საქართველოს იდეა და მისი განსაკუთრებული უფლება, დარჩეს საკუთარი ბედის განმსაზღვრელ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად.

საქართველოს სახელმწიფოს მიმართ სავსებით დასაშვებია დაისვას უმკაცრესი კრიტიკული კითხვები, გაიცეს რეკომენდაციები და შეგვახსენონ ნაკისრი ვალდებულებები. მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკურ და ღირებულებით კოდს გარედან ვერავინ გადაწერს და ქვეყანას ვერავინ გადააფორმებს.

ჩვენ არ წარმოვადგენთ გეოპოლიტიკურ ლაბორატორიას. საქართველო იდეოლოგიური ექსპერიმენტების პოლიგონი ნამდვილად არ გახლავთ, სადაც გარე ძალებმა ერის გადაკეთება უნდა გამოცადონ „დემოკრატიული მზრუნველობის“ ენით შეფუთული ულტიმატუმების მეშვეობით.

ჩვენ უძველესი, ისტორიული ერი ვართ საკუთარი მეხსიერებით, საკუთარი ტკივილით, ეროვნული ღირსებით და დამოუკიდებელი პოლიტიკური პასუხისმგებლობით. სრულებით დასაშვებია. ჩვენ ვცდებოდეთ. შესაძლოა მწვავედ ვკამათობდეთ შიგნით. ამ ქვეყნის ბედი აუცილებლად უნდა წყდებოდეს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში, ქართველი საზოგადოების უშუალო ნებით და არა საერთაშორისო ბიუროკრატიის ცივ კაბინეტებში.

**საქართველოს უნაკლოებაზე არავინ დავობს, ჩვენი ერთადერთი სათქმელი მხოლოდ საკუთარი სამშობლოს ბატონ-პატრონობით შემოიფარგლება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოჩვენებითი სამკაულის დანიშნულებას სრულიად მოკლებულია. ეროვნული თავისუფლება უპირველესად უზენაეს პასუხისმგებლობას განასახიერებს. ხსენებული მძიმე ტვირთის უარყოფასა და წინაპართაგან სისხლით მოპოვებული საუკუნოვანი უფლების უცხო ძალისთვის გადაბარებას ქართველ ერს ვერავინ აიძულებს!..**



**ირაკლი ყიფიანი**

13.03.2026



# ფრონტი და დილემა

**მსოფლიოს ჩემპიონატამდე 5 თვით ადრე სულ უფრო აქტუალური ხდება 4-წლეულის საკულტო საფეხბურთო ფორუმის ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში გამართვის საკითხი.**

ჯერ იყო და დილემა აცტეკების მიწაზე სახელმწიფოსა და ნარკოკარტელებს შორის დაწყებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ წარმოშვა, რასაც დამატებითი სისხლის ტბების დაყენების ტოლფასი მუხტი ერთ-ერთი უმძლავრესი დაჯგუფების ლიდერის ელ მენჩოს მკვლელობამ შესძინა, ხოლო შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო დრამატულად ახლო აღმოსავლეთში დანთებული საომარი ცეცხლის გაღვივებით განვითარდა, რომელსაც უკვე 2 კვირაა ბოლო არ უჩანს და კაცმა არ იცის, როდემდე იტრიალებს ჰაერში დენთის სუნი.

ისედაც კატასტროფულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს კაცობრიობის ახალი ჟანდარმის, მუნდიალის მთავარი მასპინძლის **დონალდ ტრამპის,** რბილად რომ ვთქვათ, არასტუმართმოყვრული პოზიცია, რომელმაც ირანის სპორტის მინისტრის განცხადებას – შექმნილი კრიზისის პირობებში გაუმართლებლად მიგვაჩნია ტურნირში მონაწილეობაო, თავხედური პასუხი შეაგება – ამით მომავალ მოვლენას არაფერი დააკლდებაო. ანუ, მსგავსი ლოგიკით, ოკეანის გაღმა ზაფხულში არც ფინალისტთა სოლიდურ ნაწილს ესაქმება რამე – მათ ხომ ისტორიის ჟამთასვლისას ერთმანეთთან კონფლიქტები ადრეც ჰქონიათ და მთლად ტკბილი ურთიერთობით აწმყოშიც ვერ დაიკვეხნიან.

ალბათ, ისიც ბედის ირონიაა, რომ აშშ-ისრაელის („მშვიდობის კიდევ 1 მტრედის") სადამსჯელო ოპერაციის მსხვერპლის – ისლამური რესპუბლიკის ნაკრებს ჯგუფური რაუნდის მატჩები ბელგიასთან, ეგვიპტესთან და ახალ ზელანდიასთან სწორედ ძირითადი აგრესორი ქვეყნის სტადიონებზე უნდა გაემართა და ძნელი განსაჭვრეტია, რამდენად იქნებოდა აზიური დელეგაციის უსაფრთხოების ზომები იქ დაცული.

და როგორ იქცევა ამ დროს ფიფა და, კონკრეტულად, მისი მოკომიკოსო პრეზიდენტი **ჯანი ინფანტინო?** არაფერი განსაკუთრებული – ვითომც არაფერი მომხდარიყოს, შვეიცარიელ მაღალჩინოსანს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და, იმის გათვალისწინებით, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია, გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ საფეხბურთო ოჯახის ერთიანობა, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია.

ჰოდა, ამიტომ ვივარაუდეთ წერილის დასაწყისში, რომ სათუოა ზაფხულში მუნდიალის ჩატარება. დიახ, პროტესტისა და სოლიდარობის ნიშნად ადვილი შესაძლებელია, ბოიკოტი სხვა გუნდებმაც გამოაცხადონ.




# ასეო, ისეო, მაგრამ... არ გვეფეხბურთებაო

**2026 წლის ფინალისიმა, რომელშიც ერთმანეთს არგენტინისა და ესპანეთის ეროვნული გუნდები უნდა შეხვედროდნენ, გაუქმდა,** – ამის შესახებ El Chiringuito წერს სოციალურ პლატფორმა X-ზე.

წყაროს ცნობით, 2026 წლის 27 მარტს, ყატარის ქალაქ დოჰაში, „ლუსაილის" სტადიონზე დაგეგმილი მატჩი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების გამო გაუქმდა.

ადრე, ყატარის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-სამსახურმა ყველა საფეხბურთო ტურნირის განუსაზღვრელი ვადით გადადების შესახებ განაცხადა.

არგენტინის ეროვნული გუნდი ამ თამაშში მონაწილეობას მოქმედი მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით მიიღებდა, ხოლო ესპანეთის ნაკრები – ევროპის მოქმედი ჩემპიონის სტატუსით.

# ამაშუკელის გაზაფხული

**საფრანგეთის ნაკრებმა სარაგბო ექვსი ერის ბოლო ტურში ინგლისის ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.**

„ლე ბლემ" მეტოქეს 48:46 აჯობა, თანაც ბოლო წუთზე გატანილი ჯარიმით, რომელიც **ტომას რამოსის** აქტივშია. აღსანიშნავია, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი ქართველმა **ნიკა ამაშუკელმა** იმსაჯა. საფრანგეთის ნაკრებმა 21 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, ორი ქულით აჯობა ირლანდიის ნაკრებს. შოტლანდია 16 ქულით მესამეზე გავიდა, იტალიამ 9 ქულით მეოთხე პოზიცია დაიკავა, ინგლისმა 8 ქულით მეხუთე, ხოლო უელსს 6 ქულით ბოლო საფეხური ერგო.



# ბრინჯაოები ოქროების პერსპექტივით

**ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველომ ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

**კობა ქარუმიძე** (57 კგ), რომელმაც ბულგარელ ალიოშა ილიევს 9:0 მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ფარიდ სადიხლისთან მარცხი განიცადა, ბრინჯაოსთვის რუმინელ დენის მიჰაის შეხვდა, რომელიც დაამარცხა და მედალს დაეუფლა.

**თემურ ორჯონიკიძემ** (77 კგ) პირველივე შეხვედრა წააგო რუს დანილ გრიგორიევთან (3:5), მაგრამ რუსი ფინალში გავიდა და ქართველმა რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ჯერ ლიეტუველი როკას ცეპაუსკასი (1:0) და შემდეგ ბელარუსი კირილ ვალეუსკი (8:6) დაამარცხა, შესაბამისად, მანაც ბრინჯაო მოიპოვა.

**რატი ხოზრევანიძემ** (63 კგ) ალბანელი მიკელ ტროპლინი 10:2 და ბულგარელი ჰრისტიან ივანოვი 6:2 დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში მოლდოველ ვიტალი ერიომენკოსთან 0:4 წააგო და ბრინჯაოსთვის ბრძოლა მოუწია, მაგრამ ეს შეხვედრაც წააგო აზერბაიჯანელ ილკინ გურბანოვთან (3:8) და მედლის გარეშე დარჩა.

ამრიგად, საქართველოს მონაგარი ჯერჯერობით 2 ბრინჯაოს მედალია. ტურნირის ბოლო დღეს, ფინალში იჭიდავებენ და ოქროსთვის იბრძოლებენ **გიორგი კოჩალიძე** (60 კგ) და **თორნიკე მიქელაძე** (82 კგ), ხოლო **ლუკა გაბისონიას** (97 კგ) რეპეშაჟიდან ბრინჯაოს შანსი აქვს.





# ქულათა მესამედით

**თურქეთის ჩემპიონატში „ტრაბზონსპორის" კალათბურთელმა მარკის რიდმა ისევ შესანიშნავი თამაში ჩაატარა.**

„ტრაბზონმა" 22-ე ტურში „მანისა" 96:92 დაამარცხა, რაშიც უდიდესი წვლილი საქართველოს ნაკრების წევრმა შეიტანა.

რიდმა 34 წუთში 34 ქულა, 1 მოხსნა, 7 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. მარკისმა 12-დან 7 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

„ტრაბზონსპორი" 16 გამარჯვებით და 6 მარცხით მეოთხე საფეხურზეა, ხოლო მომდევნო ტურში 22 მარტს „ბეშიქთაშს" ესტუმრება.

# ვეტერანი ასაკს არ ემორჩილება

**კვლავ სასიხარულო ცნობა, სადაც ჩეხეთის, გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე მდებარე მეტად ორიგინალური დასახელების სიახლოვეს მთა და პატარა ქალაქი მდებარეობს – „ქალაქი თოვლის ქვეშ". სწორედ ამ ქალაქში ყოველწლიურად იმართება მსოფლიოს ვეტერან მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც თავს იყრიან ვეტერანი მოთხილამურეები და ზამთრის სპორტით დაინტერესებული მოყვარულები.**

შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლიათ 35 წლის ზევით ასაკის მოთხილამურეებს.

მიმდინარე წლის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ 35 წლიდან 90 წლამდე ასაკის ვეტერანი მოთხილამურეები. ამჟამად ვეტერანების რიცხვი საგრძნობლად შემცირებული იყო. თუ ადრეულ წლებში 200-300 მათგანი ასპარეზობდა, წელს 150-მდე მოთხილამურე შეგროვდა.

ამ საინტერესო შეჯიბრში სხვებთან ერთად საქართველოდან ერთადერთი ვეტერანი მოთხილამურე, ბორჯომში ყველასთვის კარგად ნაცნობი პიროვნება და ყოფილი მოთხილამურე, 88 წლის ვეტე-



რანი, **ელგუჯა ორჯონიკიძე** ასპარეზობდა.

მკითხველო, არ გეგონოთ, სათხილამურო ტრასა ადვილი გასავლელი იყოს, რომლის სიმაღლე 2500 მეტრიდან 1500 მეტრამდეა.

ტურნირი სლალომსა და გიგანტურ სლალომში ჩატარდა. 85-90 წლამდე ასაკის 15-მა ვეტერანმა იასპარეზა, ხოლო 90-წლიანებს შორის მხოლოდ ერთი სლოვაკი მოთხილამურე გამოსულა ტრასაზე.

28 თებერვალს ბატონმა ელგუჯამ იასპარეზა სლალომში და 1500-მეტრიანი გაყინული ტრასა წარმატებით დალაშქრა, ხოლო 1 მარტს სლალომ-გიგანტში იასპარეზა და იქაც გამარჯვებული გამოვიდა. ყინულიან ტრასაზე ბევრმა ბოლომდე ვერ იასპარეზა, ზოგი დაეცა, ზოგს შეეშინდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

სასტარტო დაშვება ბოლომდე უშეცდომოდ გაიარა წაღვერელმა 88 წლის ვეტერანმა, ბატონმა ელგუჯა ორჯონიკიძემ, რომელმაც ჯილდოდ თასი მოიპოვა, მეორე ადგილზე ავსტრიელი ვეტერანი გავიდა, მესამეზე – ბულგარელი.

დავინტერესდი, ვინ ატარებს ან ვინ აფინანსებს ამ საინტერესო შეჯიბრებას-მეთქი... როგორც ბატონმა ელგუჯამ გვითხრა, ამ შეჯიბრების ორგანიზატორია სათხილამურო სპორტის მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციის ვეტერანთა ასოციაცია. მსგავსი შეჯიბრებები ყოველწლიურად იმართება აშშ-ში, სამხრეთ ამერიკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, ევროპაში სხვაგანაც.

შეჯიბრებას ორგანიზაციას უწევს ის სახელმწიფო, სადაც გადაწყდება მისი ჩატარება. ამჯერად ტურნირის ორგანიზატორი იყო ჩეხეთი, რომელმაც შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა.

**ბატონო ელგუჯა, ალბათ, ამ შეჯიბრებით დაამთავრებთ თქვენს ხანგრძლივ და ნაყოფიერ გამოსვლებს ევროპის სათხილამურო ტრასებზე. ახლა მშვიდობიანი დასვენება გვინდა გისურვოთ, – ვკითხე მორიდებით სახელოვან მოთხილამურეს.**

– არა, მიპასუხა ბატონმა ელგუჯამ. 19 მარტიდან 23 მარტამდე ავსტრიაში ტარდება მსოფლიო პირველობა ვეტერან მოთხილამურეთა შორის. მე ორ სახეობაში მივიღებ მონაწილეობას და ამით დავამთავრებ ჩემს სპორტულ კარიერას.

სხვათა შორის, ბატონმა ელგუჯამ ისიც გვითხრა, რომ ავსტრიის ქალაქ შლადმინგში იასპარეზებს მისი უფროსი შვილი გია, რომელიც ახალგაზრდობის წლებში სსრ კავშირის ნაკრების წევრი იყო.

წარმატებები ვუსურვოთ მამაშვილს ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირში.

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე.**





# „ჩუქურთმა“ 60 წლისაა!

**ეროვნულ სასახლეში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სახელოსნო „ჩუქურთმას“ 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.**

„ჩუქურთმას“ აღზრდილების ნამუშევრების გარდა, სახელოსნოს 60-წლიანი ისტორია – აფიშები, ესკიზები და ფოტოებია წარმოდგენილი. ასევე, გამოფენაზე წარადგინეს გრიშა ჩიგოგიძის ფილმიც, რომელიც მან სახელოსნო „ჩუქურთმას“ მიუძღვნა.

# ხელვაჩაურში იუსტიციის სახლის 127-ე ფილიალი გაიხსნა

**ხელვაჩაურის მოსახლეობას ამიერიდან სახელმწიფო და კერძო სექტორის 500-მდე სერვისის მიღება თანამედროვე არქიტექტურის მქონე შენობაში, იუსტიციის სახლში დანერგილი მაღალი სტანდარტებით შეეძლება.**

იუსტიციის სახლის 127-ე ფილიალი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ,** იუსტიციის მინისტრმა **პაატა სალიამ,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **სულხან თამაზაშვილმა** და იუსტიციის სახლის თავმჯდომარე **ვახტანგ ჟვანიამ** საზეიმოდ გახსნეს.

აჭარის რეგიონს ამჟამად იუსტიციის სახლის 9 ფილიალი ემსახურება: **ქალაქ ბათუმში უკვე ფუნქციონირებს იუსტიციის სახლის 2 ფილიალი, ასევე, იუსტიციის სახლები განთავსებულია ქობულეთში, ჩაქვში, მუხაესტატეში, შუახევში, ქედასა და ხულოში.** აჭარაში ასევე ფუნქციონირებს მობილური იუსტიციის სახლის ინოვაციური პროექტი, რომელიც ამ დროისთვის უკვე მოემსახურა აჭარის რეგიონში მდებარე ათეულობით სოფლის 10 000-ზე მეტ მცხოვრებს.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 94 წლისა გარდაიცვალა ჩვენი ამაგდარი, ძვირფასი კოლეგა, „ლელოს“ ვეტერანი თანამშრომელი**

**ციალა ძიმისტარიშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# ყურადღება!

**თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება ნაცვლად მ/წ 18 მარტისა, გაიმართება მ/წ 20 მარტს, იმავე დროს, იმავე მისამართზე.**

**კოოპერატივის გამგეობა**

# „გაფულფულებული“ ჩინოვნიკები

## რომეო მიქაუტაძის ნადავლი — ოქროს ზოდები, ძვირფასი საათები, მონეტები, უძრავი ქონება...

**რომეო მიქაუტაძის საქმეზე განაჩენი 16 მარტს გამოცხადდება. მოსამართლე ნინო გალუსტაშვილი განაჩენს 10:30 საათზე გამოაცხადებს. ბრალდების მხარე ითხოვს პატიმრობას, ასევე, რომეო მიქაუტაძე ცნობილ იქნას დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. კერძოდ, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის 4 ეპიზოდში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენების 3 ეპიზოდში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში. ბრალდება იმასაც ითხოვს, რომ მიქაუტაძეს ჩამოერთვას ოქროს ზოდები, ოქროს საათები, მონეტები, ესპანეთსა და საქართველოში არსებული სხვადასხვა უძრავი ქონება.**



**ბრალდებულმა, ყოფილმა მაღალჩინოსანმა საბოლოო სიტყვის უფლებით ისარგებლა და თქვა, რომ განაჩენის გამოცხადებას არ დაესწრებოდა. ამას დარბაზში მყოფი მისი ოჯახის წევრების მხრიდან რეპლიკა მოჰყვა – „დარბაზიდან გასაშვები რომ გახდე?“ რეპლიკას ყოფილმა მაღალჩინოსანმა ასე უპასუხა: „რუსთავიდან წავალ“.**

სამართალდამცველებმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე 20 ივნისს დააკავეს. მას ბრალი სსკ-ის რამდენიმე მუხლით აქვს წარდგენილი. პროკურატურის ბრალის მიხედვით, რომეო მიქაუტაძე სისტემატურად ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. **კერძოდ კი, ბრალდებულმა მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების დახმარებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის – 2 556 192 ლარის უკანონო დაუსაბუთებელი ლეგალიზაცია განახორციელა.**

ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე სასამართლო პროცესზე 4 საათის განმავლობაში აცხადებდა, რომ უდანაშაულოა, არცერთ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ თვლის, თუმცა ამის მიუხედავად, ერთი კვირის წინ, პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმების თხოვნით მიმართა. მისი თქმით, მზად არის, აღიაროს არარსებული დანაშაული და აანაზღაუროს არარსებული ზიანი, რათა საქმე სწრაფად დასრულდეს. მიქაუტაძემ სასამართლოს მიმართა თხოვნით, მიიღოს სწორი, გონივრული და პრაგმატული გადაწყვეტილება, რათა მართალი ადამიანი არ დაიჩაგროს.

რომეო მიქაუტაძემ სასამართლოზე თქვა, რომ მიზანმიმართული „გაშავების“ კამპანია, რაც მისი მისამართით აქტიურად მიმდინარეობდა, ვითომდა სამართლიანობის ქვეშ, აღმოჩნდა ყველაზე უსამართლო, პირადი შურისძიება, რაც დაიწყო გუნდის შიგნით მყოფი ადამიანების მიერ და რაც დადასტურებულია სუს-ის თანამშრომლის ჩვენებით. მიქაუტაძე აცხადებს, რომ ტყუილია, თითქოს ესპანეთში სავაჭრო ცენტრი იყიდა.

**„იმდენად მძიმედ დაიწყო და არ მოვერიდები ამ სიტყვას, გამოძიება შეიკერა, რომ სამართლიანობას ჯერჯერობით ისევ ცალმხრივად ველოდები. გავიდა ცხრა თვე და დადგა დრო, რომ ვთქვა, რასაც ვფიქრობ და გაიგონ იმ ადამიანებმა პირველი წყაროდან სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, ვინც ამ ხნის გამავლობაში, შეგნებულად იყო შეყვანილი შეცდომაში. პირადი შურისძიების გამო, ერთი ოდიოზური ფიგურის მიერ, მსოფლიო ლაურეატისა და უალტერნატივო ჩემპიონის „ბალამუტობაში“. ეს ისედაც ყველამ იცის, მაგრამ მაინც გაგახსენებთ – ვანიჩკა... ვინც საჭიროა, მიხვდება.**

**დანარჩენები კი, მაინც მჯერა, რომ უნებლიედ აღმოჩნდით ამ პროცესში, შეცდომაში შეგიყვანეს იმიტომ, რომ კარგად მიცნობთ, ჩემს გვერდში დგომასაც იცნობთ, ჩემი დახარჯული სოლიდური თანხებიც იცით სხვადასხვა პროცესში, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სურვილით გავაკეთე, სწორედ ამ ერთგულების დასამტკიცებლად. მაშინ არავის გასჩენია კითხვა, რომელს ეს თანხები საიდან აქვსო იმიტომ, რომ არც არაფერი იყო საეჭვო. ბუნებრივი და ორგანული იყო ჩემი ცხოვრების წესი, ჩემი შემოსავლების საპირწონედ“,** – განაცხადა **რომეო მიქაუტაძემ.**

მისივე თქმით, ტყუილია, რომ მეუღლეს ძვირადღირებული ცხენი უყიდა, ასევე ტყუილია, თითქოს, უცხოეთიდან ჩამოიყვანა იახტა და არც დაბადების დღეები დაჯდა კოლოსალური თანხა. მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც ბრალდებაში წერია, ტყუილია.

**რა წერია ბრალის დადგენილებაში – ჩემი ოჯახის ქონების გარდა, რაც ყველამ ზეპირად იცით, მივყვეთ ამას: მაგალითად, ჩემს მეუღლეს საჩუქრად ვუყიდე ძვირადღირებული არაბულ-ინგლისური სუფთა ჯიშის ცხენი. რა იყო რეალურად, მეგობარმა გვაჩუქა ცხენი, რომელიც არც ძვირადღირებული იყო და არც არაბულ-ინგლისური, სუფთა სისხლის. იყო ქართული, 25 წლის ცხენი. ასეთივე ტყუილია, თითქოს, უცხოეთიდან ჩამოვიყვანე იახტა. იახტაზე გადავიხადეთ ნიშნობა, რამდენიმედღიანი გართობა, რაც დაჯდა კოლოსალური თანხა. რეალობა კი შემდეგია – 700-800 ლარად ვიქირავეთ გემი, რომელზეც, ალბათ, თქვენც და მთელი საქართველო ნამყოფია ბათუმში. 2 საათი დავყავით, გადავიღეთ ფოტოები და აღნიშვნა მოხდა რესტორანში. ჩემი მძახლის ოჯახი არის ბათუმიდან, მათ გადაიხადეს 30-კაციანი ნიშნობის თანხა. რაც შეეხება ოჯახის სასტუმროს ხარჯებს, ვიქირავეთ რესტორანთან ახლოს, რამდენიმე ნომერი, ჯამში, დაახლოებით, ათასი დოლარი გადავიხადეთ. ესეც ნიშნობა კოლოსალური თანხებით და ჩამოყვანილი იახტა!!!**

**ასევე, ჩემი მეუღლის დაბადების დღე, რომელიც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, თითქოსდა 100 ათასი ლარი დაჯდა და ასევე კოლოსალური თანხა იტალიიდან მუსიკოსების ჩამოყვანაში გადავიხადე. რეალობა კი შემდეგია: აღვნიშნეთ „გარდენიაში“, რომელიც დაახლოებით 20 ათასი ლარი დაჯდა ოფიციალურად, ყველას შეუძლია ნახოს, ხოლო მუსიკოსები იტალიიდან სულ 2 ათასი ევრო, სამი ადამიანი, თავისი ტრანსპორტირებით, რომლებიც ჩამოვიყვანეთ „ვიზეარით“ ქუთაისში, განვათავსეთ ჩემი მეუღლის სასტუმროში და ტორტი, რომლის ფასიც ასევე ყველამ იცის, ასკაციანი სუფრისთვის – 1500 ლარი.**

პრინციპში, მიქაუტაძემ ყველაფერი თქვა, მაგრამ არაფერი უთქვამს თანხის წარმომავლობაზე, რითაც უზრუნველყო ეს ყველაფერი. მიქაუტაძე ამბობს, რომ უდანაშაულოა, მაგრამ საპროცესო შეთანხმებას ითხოვს და მოტივად ასახელებს იმას, რომ ოჯახი პატარას მოლოდინშია. აცხადებს, რომ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს, მაგრამ არც ამას შეუშინდება და გადაიხდის.

საქმის პროკურორის ირაკლი მარშანიას განცხადებით, საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. ირაკლი მარშანია იმედოვნებს, რომ სასამართლო ყოფილ მაღალჩინოსანს ყველა წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობს.

**„სასამართლო პროცესზე ჩვენ მოვისმინეთ დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა, ასევე მოვისმინეთ რომეო მიქაუტაძის პოზიცია, მის ბრალთან დაკავშირებით, რომელიც იყო უბრალოდ ემოციური საუბარი. მას ბრალი ედება კორუფციულ დანაშაულებში, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში. მოცემულ შემთხვევაში, მტკიცებულებები წარმოაჩენს იმას, რომ რომეო მიქაუტაძემ ნამდვილად ჩაიდინა ჩემს მიერ ხსენებული დანაშაული.**

**მე არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, საპროცესო შეთანხმება რომ გაფორმდეს, რამდენიმე წინაპირობა უნდა იყოს. პირველ რიგში, უნდა იყოს აღიარება სახეზე, ზიანის ანაზღაურება და ასევე, განცხადებით უნდა მოემართა. მან პროცესზე დააფიქსირა ასეთი რამ – 4 საათის განმავლობაში საუბრობდა, რომ დამნაშავე არ არის, დააყოლა ბოლოს, რომ დამნაშავე არ ვარო, მაგრამ განცხადება მაინც შევიტანეო. ეს არ არის აღიარება და არ მიიჩნევა არანაირ აღიარებად. ამ შემთხვევაში, საპროცესო არ ფორმდება. ადამიანმა უნდა აღიაროს დანაშაული. არანაირი მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს, ვინაიდან მას დანაშაული აღიარებული არ აქვს“,** – განაცხადა **ირაკლი მარშანიამ.**

პროკურორი ითხოვს, რომ რომეო მიქაუტაძეს უნდა ჩამოერთვას ესპანეთის სახლი, რომლის ღირებულება მილიონზე მეტია, Land Rover-ის მარკის ავტომობილი, რომლის ღირებულება 355 000 ლარია, ასევე Lexus-ის ავტომობილი. უნდა ჩამოერთვას ოქროს ზოდები და მონეტა – მეუღლის სეიფიდან ამოღებული 162 000 ლარზე მეტი ღირებულების საათი, ცოლის Cartier-ის ფირმის ოქროს საათი, რომლის ღირებულება 81 880 ლარია. ჩამოერთვას მცხეთის უძრავი ქონება. ჩამოერთვას რომეო მიქაუტაძის ძმის ცოლის სახელზე არსებული ჰესის 15%-იანი წილი, რომლის ღირებულება 1 მილიონს აღემატება.

**„რომეო მიქაუტაძეს ჩადენილი აქვს დანაშაული, რის გამოც ბრალი აქვს წარდგენილი. სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ მოწმეები, რომლებმაც პირდაპირ ამხილეს დანაშაულში რომეო მიქაუტაძე, პირდაპირ თქვეს, რომ ლობირებდა კონკრეტულ კომპანიებს, რომ მონაწილეობდა კომპანიათა საქმიანობაში. თვითონ ამ კომპანიის მეწილეებმა, დირექტორებმა თქვეს, რომ რომეო მიქაუტაძე მონაწილეობდა კომპანიის საქმიანობაში, ასევე მათ განაცხადეს, რომ რომეო მიქაუტაძე ეხმარებოდა სხვადასხვა ნებართვების აღებაში.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ მოიპოვა მტკიცებულებები ეკონომიკის სამინისტროდან, მათ შორის, ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლებისგან. მიქაუტაძე შეეცადა, თავი ემართლებინა. განაცხადა, რომ დეკლარაციებში არ შეიტანა და დაავიწყდა ნახევარი მილიონის ღირებულების საათების შეტანა“,** – დასძინა **ირაკლი მარშანიამ.**

**თამთა ქარჩავა**




# ქართველი მეღვინეები გერმანიაში

**გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში ProWein Dusseldorf 2026, ღვინის ეროვნული სააგენტოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობს.**

15-17 მარტს მიმდინარე სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის შეფასების შესაძლებლობა ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის წარმომადგენლებს და გამოფენის ათასობით სტუმარს მიეცემა, რაც საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია.

გამოფენის ფარგლებში გაიმართება ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარები, რომლებსაც ღვინის საერთაშორისო ექსპერტები წარუძღვებიან. **გერმანია ევროპაში ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანა და, ამავე დროს, ქართული ღვინის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული და მხარდაჭერილი აქტივობების, ასევ, ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული თანამშრომლობით, შექმნილია ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენცია.**



# დაცულ ტერიტორიებს ზამთარშიც ბევრი მნახველი ჰყავს!

**2024-2025 წლებში, დეკემბერი-იანვარი-თებერვლის მონაცემების მიხედვით, დაცულ ტერიტორიებს 58 618 ვიზიტორი ესტუმრა, ხოლო 2025-2026 წლებში ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 68 296-მდე, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის 17%-იან ზრდას წარმოადგენს. ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.**

სტატისტიკა ადასტურებს, რომ განსაკუთრებულად პოპულარულია როგორც ერთდღიანი მცირე მარშრუტები, როგორიცაა პრომეთეს მღვიმე (11 480 ვიზიტორი), წალკის კანიონი (7 401) და მარტვილის კანიონი (6 801), ასევე სალაშქრო მიმართულებები: მტირალას ეროვნული პარკი (20 137) და თბილისის ეროვნული პარკი (9 100).

**„დაცულ ტერიტორიებზე ზამთარში მოგზაურობა წლიდან წლამდე პოპულარული ხდება. მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურა და სერვისები იყოს შესაბამისი, რათა მოგზაურობა შესაძლებელი იყოს წლის ნებისმიერ დროს. აღნიშნული მიმართულება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა“,** – განაცხადა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ **თამარ ხახიშვილმა.**

# ტაბახმელაში, მანქანაში ნაპოვნი გარდაცვლილი ელენე ჯანჯღავაა!

**ტაბახმელაში სკოლის პედაგოგი ელენე ჯანჯღავა საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს.**

არსებული ინფორმაციით, მას თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული ჭრილობა.

როგორც „პრაიმტაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში უთხრეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



# „მარიამობის თვე 1924“ – სოხუმის დრამატულ თეატრში

**სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლის – „მარიამობის თვე 1924" პრემიერა გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საპრემიერო ჩვენებას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძე,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **გიორგი ძაძამია დაესწრნენ.** პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი **ალექსანდრე ქანთარიაა. დადგმა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების პერიოდს ასახავს და დოკუმენტურ ფაქტებს ეყრდნობა.**



# 86 წლის დედის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით შვილი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი ლ.კ. დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რა დროსაც ფიზიკური დაზიანებები მიაყენა დედას, 1940 წელს დაბადებულ ნ.დ.-ს. დაშავებული ქალბატონი მძიმე დაზიანებებით, შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით კლინიკაში მოათავსეს.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლ.კ. ცხელ კვალზე დააკავეს. **დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



# რუსთავში 2 არასრულწლოვანი დაჭრეს!

**„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, XXI მიკრორაიონში, 22-ე სკოლის ეზოს ტერიტორიაზე მოზარდებს შორის კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და 2 არასრულწლოვნის დაჭრით დასრულდა.**

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები. არსებული ინფორმაციით პოლიციამ მოახდინა დამნაშავის იდენტიფიცირება და ის უკვე მხილებულია. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.


მიშა ჩოხელი

# საზარელი მკვლელობა დუშეთში

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1984 წელს დაბადებული ა.წ. და 1991 წელს დაბადებული ტ.ვ. დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაგაში ბრალდებულებმა ყოფით ნიადაგზე, განსაკუთრებული სისასტიკით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით 1984 წელს დაბადებულ მ.ჩ.-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა. **ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციამ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ა.წ. და ტ.ვ. ბრალდებულების სახით დააკავა“.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოქეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 18 მარტს